# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბერთის გადანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 18 სექტემბერი, 2010 წელი.

№175 (6541)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


ღმერთო, შენ გვიშველე!

## ბოღმით და ღვარძლით მთვრალი „ტაბულა“-„ლიბერალი“...





„ლიბერალ-დემოკრატების“ მიერ ფაშიზმის მხარდამჭერებად შერაცხილი... 182 „კოლექტიური შევარდნაძე“ (3-4)

ანონსი

## პროფესიული განათლების სისტემა დაარბიეს

15 სექტემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მინისტრის დიმიტრი შაშკინის ბრძანების შესაბამისად, გააუქმა ქვეყნის 18 პროფესიული კოლეჯი. უმუშევარი დარჩა 800 პედაგოგი, სწავლის გარეშე დატოვეს პროფესიული კოლეჯების ათასობით სტუდენტი, მათ შორის 600-მდე დევნილი.

არადა ეს რბევა მოხდა პრეზიდენტის მიერ ახლახან ტყიბულში გაკეთებული პროგრამული განცხადების ფონზე, პროფესიული განათლება პრიორიტეტული უნდა გახდესო. თუ ვინ, რატომ არ ასრულებს პრეზიდენტის დავალებას, საერთოდ გადაურჩება თუ არა სრულ განადგურებას ეს სისტემა, უახლოეს ნომერში გვესაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე დენის დავითაშვილი.

## საქართველოს შერისხულმა პრეზიდენტმა თავი მოიკლა?

(5)



## ადამიანის ბედი კოლეგის ახალ წიგნში

(11)




## 18 წლის ოთარ ფალიანი ფრენას სწავლობს...



(8)

სწორედ ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ შევაჩეროთ წამი დროებით და მოვაბრუნოთ დრო და მანძილი აინშტაინის გიჟი გონებით...

## კვალი საუკუნეში

### აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე - 80




## საიუბილეოდ გამოიცა

*აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის დაბადების 80 წლისთავისთვის „დივაიზ სტუდიომ“ მართლაც ჩინებული წიგნი მოამზადა – „ჯუმბერ ლომინაძე – მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი და შემოქმედებითი კლიმატის შემქმნელი“. წიგნის ავტორია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანატოლი მიხაილოვსკი, რომელსაც იუბილართან მრავალწლიანი ადამიანური და შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს.*

*წიგნის მეორე ნაწილი დათმობილი აქვს თვითონ ბატონი ჯუმბერის მოგონებებს.*

*წიგნს წინასიტყვაობის სახით დართული აქვს მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის, აკადემიკოს როალდ საგდეევის წერილი. ქვემოთ გთავაზობთ ამ წერილს.*

ძვირფასო ჯუმბერ, ფიზიკის ფაკულტეტის ჩვენი თაობიდან, ვინც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი თითქმის 55 წლის წინათ დაამთავრა, შენ პირველი ხარ, ვინც ეს ზღვარი გადალახა. შენ ასევე პირველი იყავი, ვინც ცოლი შეირთო (ყოველთვის გვეხსომება ლია), პირველი გახდი მამა, ბაბუა, დიდი ბაბუა... ჩვენ მოგვიწია მშფოთვარე განუჭვრეტელ დროს ცხოვრება, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, გაგვთიშა ჩვენ არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ სხვადასხვა სახელმწიფოებადაც (რომლებიც ზოგჯერ ომობენ ხოლმე კიდეც ერთმანეთში). მაგრამ ამას ჩვენ ადამიანურად არ გავუთიშივართ და ვერც ვერასოდეს გაგვთიშავს. ჩვენი მეგობრობა, სიყვარული მეცნიერებისადმი და ერთგულება უბრალო ადამიანური იდეალებისადმი ყოველთვის ჩვენთანაა. როგორც დაყოვნებულ კინოში, იცვლება შენი ცხოვრების ფურცლები, როგორც ამის შესახებ წერს ანატოლი ბორისის ძე მიხაილოვსკი. რამდენი სითბო და მსუბუქი იუმორია. ნება მიბოძე, მეც შევუერთდე მილოცვას შენს იუბილესთან დაკავშირებით და ვუსურვო „დიდ თბილისელს“ კიდევ მრავალი წლის ნაყოფიერი (მათ შორის მეცნიერებაშიც) ცხოვრება. მაგრად გეხვევი.

შენი **როალდ საგდეევი,**
ვაშინგტონი, ამერიკის შეერთებული შტატები

ულოცავენ!

## ღრმად პატივცემულო ჯუმბერ გიორგის ძევ!

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით მოგილოცავთ თქვენ, გამოჩენილ მეცნიერს, პლაზმის ფიზიკისა და პლაზმური ასტროფიზიკის სპეციალისტს სახელოვან იუბილეს — დაბადების 80 წლისთავს. თქვენი ნაშრომები ციკლოტრონული არამდგრადობის მექანიზმების, პულსარების რადიოგამოსხივებისა და ასტროფიზიკური დისკების ფიზიკაში კარგადაა ცნობილი მთელ მსოფლიოში.

ჩვენ გიცნობთ როგორც საქართველოს და რუსეთის სამეცნიერო და კულტურული კავშირების შენარჩუნებისა და განვითარების აქტიურ მომხრეს და დიდ მადლობას მოგახსენებთ ამისთვის.

**იური ოსიპოვი,**
რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

იხ. მე-6,7 გვ.

ვენეციის კომისია

# საქართველოს კონსტიტუციის პროექტში ბოლო დროს შეტანილ ცვლილებებს არ იცნობენ




**როგორც ამასთან დაკავშირებით „პირველს“ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა განუმარტა, ვენეციის კომისიას პროექტის ბოლო ვარიანტს უახლოეს პერიოდში წარუდგენენ.**

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში“ ბერლინში 15 ივლისს გაიხსნა. კონფერენციაში ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტები, კონსტიტუციონალისტები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოდან კონფერენციაზე წარმოდგენილნი იყვნენ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ დემეტრაშვილი, კომისიის მდივანი თენგიზ შარმანაშვილი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები და კომისიის წევრები, ასევე პარლამენტარი აკაკი მინაშვილი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი. მათ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ 2010 წლის 11 მაისის სხდომაზე მიღებული საბაზისო პროექტი განიხილეს.

ბერლინის კონფერენციის შემდეგ პროექტის საჯარო განხილვები საქართველოში გაგრძელდა. ამ მიზნით კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის საჯარო განხილვის კომისია შეიქმნა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ხელმძღვანელობს. გუშინ კი პროექტის საჯარო განხილვის ფარგლებში საქართველოს ვენეციის კომისიის წევრები ტომას მარკერტი, სიმონა გრანატა, სერჯიო ბარტოლე და ანჯელიკა ნუსბერგერი ეწვივნენ.

მომავალი სასესიო კვირიდან პროექტის განხილვა საქართველოს პარლამენტში გაგრძელდება, ვენეციის კომისია კი სახელმწიფო საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის შესახებ საბოლოო დასკვნას 15 ოქტომბერს წარმოადგენს.

კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს საქართველოს პარლამენტი წლის ბოლომდე დაამტკიცებს.

**პირველი**

გაეროს ექსპერტი

# „ოკუპირებული ზონების მიმდებარე ტერიტორიებზე დევნილების ჩასახლება საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო“



**ოკუპირებული ზონების მიმდებარე ტერიტორიებზე დევნილების ჩასახლება საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო. ამის შესახებ გაეროს ექსპერტმა იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხებში ვოლტერ კელინმა „პირველს“ საქართველოს ხელისუფლების მთელი რიგი წარმომადგენლების იმ მტკიცების კომენტირებისას განუცხადა, თითქოს აღნიშნული გადაწყვეტილება უცხოელი დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე იყო მიღებული.**

„ეს არა ჩვენი რეკომენდაცია, არამედ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო“ – ხაზგასმით აღნიშნა კელინმა.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შეიძლება, დაცული იყოს ბუფერული ზონების მახლობლად ჩასახლებული ადამიანების უსაფრთხოება, გაეროს ექსპერტის აზრით, „ამჟამად პრიორიტეტული არა მათი უსაფრთხოების, არამედ მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის საკითხია“.

„არ ვფიქრობ, რომ დღეს უსაფრთხოების საკითხია პრიორიტეტული. სადღეისოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ ადამიანებმა საარსებო წყარო დაკარგეს“ – განაცხადა კელინმა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა საკითხებში კობა სუბელიანის მტკიცებით, ძდევნილთა განსახლება გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხებში ვოლტერ კელინის დოკუმენტის საფუძველზე ხორციელდება“.

ამის შესახებ სუბელიანმა გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ განაცხადა, სადაც ვოლტერ კელინმა დევნილთა განსახლების თემაზე განახლებული კონცეფციის პრეტენზაცია გამართა.

„აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა განსახლების დოკუმენტი და გეგმა სწორედ კელინმა მიიღო, უფრო სწორად – სახელმწიფომ, მაგრამ მის დროს დაიწყო ამ გეგმის დამუშავება და ამოქმედება. ჩვენ სწორედ ამ გეგმის მიხედვით ვმოქმედებთ და განსახლებას და დაკანონებას ამ გეგმით ვახორციელებთ. მათი მხარდაჭერის შედეგია ის, რომ ხშირ შემთხვევაში მტკივნეულ გადაწყვეტილებებსაც ვიღებთ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველაფერს ვაკეთებთ დაბრუნებამდე დევნილების ღირსეული ცხოვრებისთვის“, – განაცხადა სუბელიანმა.

სუბელიანამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისიდან განსახლებული დევნილების „ძველი რეგისტრაციის ადგილის“ მიხედვით განსახლების რეკომენდაციის არსებობის საკითხმა პარლამენტში, ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე გაიჟღერა.

„პირველი“ მთელი ამ დღეების განმავლობაში ამ რეკომენდაციის ავტორთა და მისი დეტალების დაზუსტებას როგორც სახელმწიფო მინისტრის რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილის, ისე კობა სუბელიანის უწყებაში უშედეგოდ ცდილობდა.

**პირველი**

პროტესტი

# სახელმძღვანელოები... „კაბალურ ფასად“

**15 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, მოსწავლეებსა და მშობლებს ახალი საზრუნავიც გაუჩნდათ, როგორ შეიძინონ მაღალფასიანი სასკოლო წიგნები დაბალ სოციალურ პირობებში. იმის მიუხედავად, რომ ეს პრობლემა წლების განმავლობაში უქმნიდა და უქმნის მოსწავლეებს სირთულეებს, სასწავლო წელს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლა.**

ამ თემას გამოეხმაურა სამოქალაქო მოძრაობა „7 ნოემბერი“ და „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის – უფლებებისთვის“ ოფისში ბრიფინგი გამართა. მათ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ დასტამბული სასკოლო წიგნები გააკრიტიკეს.



**გიორგი ჩითარიშვილი, სამოქალაქო მოძრაობა „7 ნოემბერი“:** სასწავლო წიგნებზე ფასები წლიდან წლამდე კატასტროფულად იზრდება. სასწავლო წიგნების უმრავლესობას ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ბეჭდავს, ეს არის მონოპოლისტური გამომცემლობა, რომელიც განათლების სამინისტროს მაალჩინოსნების ბიზნესია. სწორედ მათი დადგენილია ასეთი მაღალი ფასები, რაც ყოვლად შეუფერებელია მოსახლეობის დღევანდელი სოციალური მდგომარეობისთვის“.

ჩითარიშვილის თქმით, განათლების სამინისტრო იხსნის პასუხისმგებლობას და სასკოლო წიგნების მაღალ ფასებს კერძო წიგნების მაღაზიებს უკავშირებს. ეს არის განათლების სამინისტროს მორიგი სპექტაკლი, განაცხადა მან.

ჩითარიშვილმა ჟურნალისტებს წარუდგინა მე-7 კლასის ინგლისურის სახელმძღვანელო და რვეული, რომელიც 25 ლარი ღირს, მთლიანად წიგნების კომპლექტი კი 300 ლარამდე აღწევს.

სამოქალაქო მოძრაობამ მიმართა განათლების სამინისტროს, რათა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა სასწავლო წიგნების გამოცემას ჩამოაშოროს.

**თინათინ ბორცვაძე**

გუშინდელი ფოსტიდან

# ვის გამოსდის მაფიოზობანა?

**ჩვენი სახელისუფლებო ტელევიზიები იდეოლოგიურად რომ „გვფქვავენ“ და „გვღერღავენ“, ცხადი და აშკარაა. ისიც ცხადი და აშკარაა, რომ ამ „ფქვა-ღერღვაში“. წმინდა წყლის იდეოლოგიური ტექსტების გარდა, ნაცად ხერხად, არცთუ იშვიათად, გართობა-თამაშობებსაც მიმართავენ.**

**ამ პატარა წერილში სწორედ ერთ ასეთ „თამაშობაზე“ მაქვს ლაპარაკი, რომელ „თამაშობასაც“ ყოველ ხუთშაბათს გვთავაზობს პატარკაციშვილისაგან ამ ხელისუფლების მიერ ყაჩაღურად წართმეული „იმედი“.**

**„მაფიის ღამე“, ასე ჰქვია ამ თამაშს, რომელმაც უნდა გამოავლინოს პატიოსანი და მაფიოზი ადამიანები. ამჯერად, ამ ხუთშაბათს, „მაფიის ღამემ“ (გამეორებითძ ორი მაფიოზი გამოავლინა – ეკა ხერხეულიძე და ხათუნა გოგორიშვილი.**

**რასაკვირველია, ვხვდებით, რომ „მაფიის ღამის“ მიზანი ის არის – ვირწმუნოთ, რომ მაფია ცხოვრებაში აღარ არსებობს და მარტო თამაშის დონეზეღაა დარჩენილი, რაც არცთუ ადვილი სარწმუნო არ არის, როცა ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებში სწორედაც მაფიოზ მინისტრების მოადგილეებს იჭერენ, ხოლო თამაშის დონეზე კი მაფიოზები ხდებიან ჩვენი პარლამენტარი ქალბატონები, რომელთაც მაინცდამაინც უმწიკვლო წმინდანებად არ იცნობს ჩვენი საზოგადოება (ის კი არა, ხათუნამ პრიზიც კი მიიღო როგორც კარგმა მოთამაშე მაფიოზმაძ.**

**ერთი სიტყვით, ეს „მაფიის ღამე“ ხშირ შემთხვევაში თითქოს ერთგვარი ლაკმუსია – სალებავი ნივთიერება, რომელი სალებავითაც გაჟღენთილ ქაღალდს მჟავა აწითლებს, ტუტე კი – ალურჯებს.**

**აი, ასე გაწითლდნენ და გალურჯდნენ ხუთშაბათ საღამოს „მაფიის ღამის“ მონაწილენი.**

**ისე, ერთმა კი ნამდვილად გამაკვირვა: რატომ აღმოჩნდა ამ გაწითლებულთა და გალურჯებულთა გვერდით მართლაც პატიოსანი პოლიტოლოგი მამუკა არეშიძე.**

**ალმასხან ბურდული**
**დუშეთი.**

ქურდული სამყარო

**კრიმინალური სამყაროს „მეფედ“ შერაცხულ „დედ ჰასანს“ – ასლან უსოიანს რუსეთის პრემიერ-მინისტრთან გარკვეული კავშირები აქვს, ხოლო მოსკოვის მერთან იური ლუჟკოვთან დაახლოებული პირია. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ მოსკოვიდან აცნობეს.**

იმავე წყაროს ცნობით, ასლან უსოიანი, რომელიც ბოლო დროს თავს აფხაზეთს აფარებდა, მოსკოვში სწორედ ლუჟკოვის თხოვნით ჩავიდა, რომელსაც არც თუ სახარბიელო პოლიტიკური დღეები უდგას.

# „დედ ჰასანის“ კავშირები ვლადიმერ პუტინთან და იური ლუჟკოვთან

„დედ ჰასანის“ აფხაზეთში ცხოვრებისა და ხელშეუხებლობის გარანტიები კი სწორედ იური ლუჟკოვის სახელს უკავშირდება.

ასლან უსოიანზე თავდასხმა მოულოდნელი ფაქტი აღმოჩნდა. როგორც სააგენტოს აცნობეს, სავარძელშერყეული მერის და ჯერ კიდევ მისი მფარველის – რუსეთის პრემიერ-მინისტრის უშუალო დავალებით შემთხვევის ადგილას მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ კოლოკოლცევი მივიდა.

კოლოკოლცევმა ჟურნალისტების შეკითხვას, რითი იყო ასეთი მაღალი „ჩინის“ უსოიანზე თავდასხმის ადგილას გამოჩენა, უპასუხა, რომ „ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია“ და მას დროდადრო უწევს ასეთ შემთხვევის ადგილებზე გასვლა.

თუმცა, რუსული მედია კოლოკოლცევის „შემთხვევის ადგილას“ გამოჩენას ზევიდან მიღებულ დავალებას უწოდებს.

„ეს იყო უშუალოდ ლუჟკოვის თხოვნა, უფრო სწორად მუდარა, რადგან მისი მოწვევით მოსკოვში ჩასულ უსოიანზე განხორციელებული თავდასხმა კრიმინალური სამყაროსთვის და თავად უსოიანისთვის, რომელიც სასწაულებრივად გადარჩა, შესაძლოა ლუჟკოვისთვის დასასრული გახდეს“, – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ წყარომ.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ლუჟკოვის თხოვნით, რომელიც რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის ფავორიტად ითვლება, 2008 წლის 2 მაისს ასლან უსოიანმა მოიწვია „კრიმინალური სამყაროს“ ლიდერთა შეკრება, სადაც განიხილეს 2014 წლის სოჭის ოლიმპიადისთვის გამოყოფილი თანხების კონტროლის მექანიზმი. რუსეთის სახელისუფლებო წრეებიდან კი სოჭის ოლიმპიადის ფინანსებს უშუალოდ ვლადიმერ პუტინი კურირებს.

რაც შეეხება „დედ ჰასანის“ და ვლადიმერ პუტინის კავშირებს „ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადეს, რომ ის საფუძველს პუტინის პეტერბუგში მოღვაწეობიდან იღებს, როდესაც უსოიანმა მისგან გარკვეული მხარდაჭერის სანაცვლოდ ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო.

უსოიანის „რეზიდენცია“ მდებარეობს სანკტ-პეტერბურგში, საიდანაც ის მართავს თავის კლანის საქმიანობას, რომლის გავლენაც მთელ რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაზე ვრცელდება.

„ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, უსოიანმა პუტინს მინიმალური პრობლემები შეუქმნა და მან სანდო პიროვნების იმიჯიც დაიმსახურა. სწორედ ამ სანდოობას უკავშირდება 2014 წლის სოჭის ოლიმპიადისთვის გამოყოფილი სახსრების კონტროლის საკითხის მისთვის ჩაბარება.



შეგახსენებთ, რომ 16 სექტემბერს, 20:00 საათისთვის ე.წ. კანონიერ ქურდს „დედ ჰასანს“ მოსკოვში ტვერის ქუჩაზე იმ დროს დაესხნენ, როდესაც იგი თავის დაცვის წევრთან ერთად შვილის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში შედიოდა.

რუსულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია „დედ ჰასანის“ და მისი დაცვის წევრის გარდაცვალების შესახებ. მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორივე ცოცხალია და მათ ბოტკინის სახელობის საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთეს.

## საბანკო სექტორი

**რუსეთული კაპიტალის საქართველოს შიდა ბაზარზე მეტნაკლებად დაფარული ფორმით შემოსვლის პროცესი კვლავაც გრძელდება, თუმცა არა ისე ხმაურიანად და გაპიარებულად, როგორც ეს ბენდუქიძის მინისტრად ყოფნის დროს ხდებოდა.**

ამის ერთ-ერთი ბოლო მაგალითია თუნდაც ის, რომ აგვისტოში რუსეთულმა „ვნეშტორგბანკმა" „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან", რომელიც „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" აქციონერი იყო, ამ უკანასკნელის აქციების პაკეტი შეისყიდა. მიუხედავად იმისა, რომ გარიგების ღირებულება არ სახელდება ტრივიალური „კომერციული საიდუმლოს დაფარვის" გაცვეთილი მოტივაციით, რა ბევრი ტვინის ჭყლეტა სჭირდება იმის დადგენას, თუ ვინაა „ოჯახის თავი", როცა რუსეთში სიდიდით მეორე ბანკი არცთუ მაინცდამაინც ძლიერი ქართული „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" აქციების 96 პროცენტს ფლობს? საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარებისა" და „ვნეშტორგბანკს" შორის ახლახან დადებული გარიგების თაობაზე შეთანხმება ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ იყო მიღწეული.

— ცხადია, რომ საბანკო სფეროში ისევე, როგორც ზოგადად ეკონომიკის სხვა დარგებში, მეტნაკლებად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნაუცბათევად არავინ იღებს, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ბაზარზე ახალი პროდუქტის გამოტანას ეხება. ამდენად სავსებით ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ საბანკო მომსახურების ახალი ფორმით დანერგვით „ვნეშტორგბანკი" ქართულ საბანკო სექტორში გავლენის სფეროს გაფართოებას ახალი კლიენტურის მოზიდვით ცდილობს, თუმცა ამაში თავისთავად ცუდი არაფერია. საქმე უფრო ისაა, კომერციული მოგების მიღების სურვილის მიღმა რა ინტერესებია „მიყუჩებული". ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ახლახან ვითიბი ბანკ ჯორჯიამ ქეი-ეს-ბი ბანკის სესხის ალტერნატივა — საკრედიტო პროდუქტი „კონსოლიდაცია" შესთავაზა მომხმარებელს. მისი არსი ის არის, რომ **ამ პროდუქტის მომხმარებელს სხვა ბანკებში აღებული ორი ან მეტი სესხის გადაფარვის საშუალებას აძლევს, ხოლო კონსოლიდირებული სესხი მომხმარებლისთვის, რომელსაც ორი ან რამდენიმე ბანკის ვალი აქვს, რაშიც ბუნებრივია, პროცენტებს იხდის, ამ პროცენტების მთლიანი ოდენობის შემცირების შესაძლებლობა ეძლევა.**

კერძოდ კი, კონსოლიდირებული სესხის მომხმარებელს შეუძლია საკრედიტო ბარათების, სამომხმარებლო სესხების, განვადებებისა და სხვა პროდუქტების ღირებულების გადაფარვა. სესხის მაქსიმალური ვადაა შვიდი წელი, ხოლო თანხის ოდენობა 1500-დან 50 ათას ლარამდე ფარგლებშია, მინიმალური განაკვეთი კი — 20 პროცენტი.

არჩევანი, ცხადია, ბანკის კლიენტის მოთხოვნასა და კრედიტის გასტუმრების შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, თანაც საპროგნოზოზე გაცილებით მაღალი ტემპით მიმდინარე ინფლაციის გათვალისწინებით ბევრისთვის ეს შესაძლოა ერთობ ხელსაყრელი იყოს. ეს მით უფრო საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკში ინფლაციის მაღალი ტემპით ზრდაზე ლაპარაკობენ, რასაც, ცხადია, ფასების ზრდა მოყვება, რაც რეალურად მოხდა და ეს ტენდენცია თანდათანობით უფრო ძლიერდება. ფასების ზრდასთან ბრძოლის ერთ-ერთი მექანიზმია მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, რასაც ეროვნულმა ბანკმა მიმართა კიდეც. ბოლო დროს რეფინანსირების სესხის მინიმალური ზღვარი 5-დან 6,5 პროცენტამდე გაზარდა, რამაც ფასების კლებას თუ არა, ძველ დონეზე დატოვებას მაინც უნდა უწყობდეს ხელს, თუმცა რეალური ვითარება სულ სხვაა. ამას თუნდაც საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი მოწმობს, რომელიც ბოლო დროს 2,8 პროცენტიდან 3,5 პროცენტამდე და მეტადაც გაიზარდა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ეროვნულ ბანკს წლეულს ინფლაციის 6 პროცენტზე ნაკლებ დონეზე შენარჩუნება აქვს დაგეგმილი, თუმცა ამ მაჩვენებელზე შეჩერება, ერთობ საეჭვოა.

# ახალი შეთავაზება ინფლაციის ფონზე



**ოთარ ტურაბელიძე.**

## ინფორმაცია თემაში

*ქეი-ეს-ბი ბანკის ეგრეთ წოდებული გონივრული სესხი ამ საბანკო პროდუქტის მომხმარებელს ასევე აძლევს სხვა ბანკების წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა გადაფარვის საშუალებას. განსხვავება კი ის არის, რომ ამ ბანკის სესხის თანხის მოცულობა კია მეტი – იგი 2-დან 100 ათასი დოლარის ფარგლებშია, სამაგიეროდ საგადასახადო პროცენტი უფრო მაღალია და 24-ს უდრის.*

## ღმერთო, შენ გვიშველე!

# ბოღმით და ღვარძლით მთვრალი „ტაბულა"-„ლიბერალი" და...

### „ლიბერალ-დემოკრატების" მიერ ფაშიზმის მხარდამჭერებად შერაცხილი... 182 „კოლექტიური შევარდნაძე"

***დარწმუნებლი** ვარ, ბევრი ამ შეფასებას გადაჭარბებულად ჩამითვლის, მაგრამ მე ასე მწამს: ამ ანტიქართულ, ანტიმართლმადიდებლურ, ანტიეროვნულ ე.წ. ჟურნალებს, პლუს, ამავე „ღირსებებით" უხვად შემკული ნაცტელევიზიები, „თავისუფლების ინსტიტუტი" და ხელთ შეგვრჩება ლამის კრიმინალური ბანდა, რომლის ძირითადი მახასიათებელია ყოველივე „დრომოჭმული" ქართული ღირებულებების, ვაჟკაცურის, ტრადიციის სიძულვილი და იმის შეგრძნებით გამოწვეული ბოღმა, რომ მძლავრი მედიაპროპაგანდის მიუხედავად ამ ყველაფრის საწინააღმდეგოდ, ჯერ კიდევ ბევრნი ვართ ის ქართველები (და, სხვათა შორის, არაქართველებიც!!!), ვისაც ყველაფერი ის გვეძვირფასება, რაც ამ ვითომ ლიბერასტებს სძულთ.*

იმდენად ბევრნი ვართ, რომ იქით, დასავლეთში, მათი სპონსორ-დამფინანსებლები არიან შეშფოთებულები და აქეთ — ხელისუფლებაში მოკალათებული მანქურთები — ვერაფერი მოგვიხერხეს ამ „ჩამორჩენილ, გაუნათლებელ" ქართველებს, ვერაფრით შეგვაყვარეს ე.წ. სექსუალური უმცირესობები, ანუ, ჩვენებურად, ჯიგრულად თუ ვიტყვით, პედერასტები; ათასი ჯურის სექტებს ისევ ჩვენი ანჩისხატი, სიონი და სამება გვირჩევნია და ა.შ. სადარდებელი და თავში საცემი მართლაც ბევრი აქვთ ამ ხლისტებს, ამათ!..

აი, რას წერს ლიბერასტების ფლაგმანი ჟურნალის ანონიმი ავტორი:

**„მალხაზ გულაშვილმა დააარსა სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა, ეკა კვესიტაძემ ის საკუთარ თოკშოუში მიიწვია, სადაც ბ-ნმა გულაშვილმა მრავალი ფაშისტურ-ჰომოფობიური განცხადება გააკეთა.**

**როგორი იყო ამაზე ზოგიერთი იმ ადამიანის რეაქცია, რომლებიც საკუთარ თავს ლიბერალებად მოიხსენიებენ?.. სანამ კვესიტაძე მიიწვევდა, გულაშვილმა „კავკასიის" ეთერში მოაწყო საკუთარი იდეების პრეზენტაცია, ალეკო ელისაშვილის შოუში. ლიბერალურმა ოპოზიციამ, თინა ხიდაშელის სახით, წაუყრუა გულაშვილის ჰომოფობიას. არც ელისაშვილი იყო სათანადო სიმაღლეზე — მას არ გაუპროტესტებია გულაშვილის ფაშისტური განცხადებებს. ... შევთანხმდეთ, რომ არავინ შედის მასთან სამუშაო ურთიერთობებში, არავინ ერთიანდება მასთან. — ... მედიაში მიწვევა? მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მასზე ვისაუბროთ, როგორც პრობლემაზე და არა იმისთვის, რომ ის ვალაპარაკოთ სხვა პრობლემებზე".**

და იქვე პათეტიკური მიმართვა „ფაშიზმის 182 მხარდამჭერს", ანუ იმათ, ვინც ხელი მოაწერა იმ რვა მართლმადიდებელი ყმაწვილის განთავისუფლების მოთხოვნას, რომლებიც, „კავკასიის" ეთერში დააჭერინეს დავით აქუბარდიამ, ნინო ჯანგირაშვილმა და მათმა შვილობილმა ალეკო ელისაშვილმა.

მაშ ასე:

„ფაშიზმის 182 მხარდამჭერს!

**საქართველოს 182 მოქალაქემ ღიად დაუჭირა მხარი მალხაზ გულაშვილის მეთაურობით მოქმედ აშკარად ფაშისტურ და იმავდროულად პრორუსულ გაერთიანებას!..**

**... მიმართვაზე ხელმომწერნი ძალადობის, რელიგიის და სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე შუღლის გაღვივებას გამოხატვის თავისუფლებას უწოდებენ და ფაშიზმს ამართლებენ".**

და ბოლოს, ამ ყველაფრის კვინტესენცია, გნებავთ, ყველაზესუსტი პასაჟი, რის გამოც არათუ თქვენს მონა-მორჩილს, არამედ სკოლის მოწაფესაც არ გაუჭირდება ამ ლიბერასტების „გადაყლაპვა".

თუმცა, ფუი ეშმაკს! ჩემმა და თქვენმა მტერმა ჭამა ეს უწმინდურები!

**„ლოგიკურია, რომ ხელმომწერები. ამ ფონზე დასაფასებელია ეკა კვესიტაძის და შორენა შავერდაშვილის პოზიცია, რომლებიც შეეცადნენ, თუმცა წარუმატებლად, დაპირისპირებოდნენ გულაშვილის დემაგოგიას.**

**რა არის პრობლემა მალხაზ გულაშვილის შემთხვევაში? ის, რომ გურამ შარაძის (ხომ მოკალით და საფლავში მაინც მოასვენეთ! — დ.მ.) ნიშის დაჭერას ცდილობს? არა! შარაძე ვერ ჩაითვლება წარმატებულ საზოგადოებრივ ფიგურად".**

ახლა ვნახოთ, **„ლიბერალში"** დაბეჭდილ ამ პასკვილს როგორ ეხმაურებიან საკუთარი ფეისბუკიდან ჟურნალ „ტაბულას" მთავარი რედაქტორი, გიგა ბოკერიას (!!!ძ მეუღლე თამარ ჩორგოლეიშვილი და ვინმე თორნიკე რუსიშვილი, რათა ქვემოთ ყველას და ყველაფერს ერთად ვუპასუხო.

**„ჩემი აზრით, ერთადერთი სწორი სტრატეგია იქნება, ზუსტად ისე მოვექცეთ გულაშვილს, როგორც ის ექცევა სექსუალურ უმცირესოთა შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს ედუარდ შევარდნაძეს, რომლის მმართველობა ებრძოდა რწმენისა და სიტყვის თავისუფლებას, ახალისებდა შეუწყნარებლობას. ხელმომწერები ზნეობის პოზიციებიდან ექომაგებიან უზნეობას და ამით ემსგავსებიან იმავე გულაშვილს, რომელიც მართლმადიდებლობის სახელით სიძულვილსა და ძალადობას ქადაგებს, ხოლო ნაციონალისტურ რიტორიკას უთავსებს თავის მოდრეკას რუსეთის პრეზიდენტის წინაშე.**

**კოლექტიური შევარდნაძე აერთიანებს ამ 182 ადამიანს — გაკოტრებულ პოლიტიკოსებს, ყოფილ უფლებადამცველებსა და უფლებადამრღვევებს, წარუმატებელ და ხელმოცარულ მსახიობებს, კორუფციონერებს, მეცნიერებს, რეჟისორებსა და სპორტსმენებს, მწერლებს, ჟურნალისტებსა და სხვებს — იმ ადამიანებს, ვისაც ერთსა და იმავე სისტემის ფარგლებში წყალობდა და ერჩოდა ედუარდ შევარდნაძე, როგორც საბჭოთა დროს, ისე მის შემდეგ.**

**თავიანთი ხელმოწერებით ეს ხალხი იზიარებს პასუხისმგებლობას გულაშვილისა და მისი დაჯგუფების ქმედებაზე და უპირისპირდება არა მხოლოდ პიროვნების თავისუფლებას, არამედ ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ღირსეულ მომავალს".**

აი, ასე, ბატონებო, როგორც იტყვიან, მთელი წერტილი და მძიმე. ჰოდა, მიდი და „ურტყი კრუგები", თუ ბიჭი ხარ! თუმცა ყველაფერს თავიდან, არგუმენტირებულად მივყვეთ და გპირდებით, მკითხველო, ისეთ „კრუგებს ვარტყმევინებ" ამ ლიბერასტებს, რომ...

დავიწყოთ იქიდან, რომ ამ ორივეს — „ლიბერალის" ანონიმი ავტორისა და „ტაბულას" მესვეურთა პასკვილებს წითელ ხაზად (თუმცა რატომ წითელი, მაგათ ცისფერი უფრო მოუხდება — **დ.მ.**ძ გასდევს ე.წ. სექსუალურ უმცირესობათა, პედერასტების უფლებების დაცვაზე ვაი-ვიში, ანუ, ჩვენი საზოგადოების განუვითარებლობის, ჩამორჩენილობის საზომად და დასტურად პედერასტების მიმართ შეუწყნარებლობა მიაჩნიათ.

როგორც ცნობილია, უფალმა ადამიანი შექმნა, როგორც სახე და ხატი თვისი. აქედან, არა მგონია, რომ უფლის სახესა თუ ხატში, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ხალხიც იგულისხმებოდეს, მით უმეტეს, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება, რისი დაკანონების საფრთხის წინაშეც დგას საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი, რომელმაც **საქართველოს პარლამენტს უკვე შარშან გამოუგზავნა რეკომენდაცია- დირექტივა ამ უზნეობის საკანონმდებლო დონეზე რატიფიკაციისთვის.**

ამას ჯერჯერობით ვერ ბედავს დასავლური „ლიბერალური დემოკრატიის" მონა ჩვენი პარლამენტიც კი, იმიტომ, რომ ჯერ საამისო სიტუაცია არ არის მომწიფებული. **ამ სიტუაციის ზონდირება იყო, აგერ ახლა, აგვისტოს ბოლოს, უკვე მეორე მცდელობა გეიპარადის ჩატარებისა, რამაც ის აჩვენა, რომ მწიფე კი არა, ძალიან მკუხეა საქართველოში ეს ლიბერასტული ხილი და, უფრო მეტიც, დამწიფება არასდროს უწერია.**

ამის წინააღმდეგ არა მხოლოდ მალხაზ გულაშვილი გამოდიოდა, არამედ ეს ყველა ნორმალური ქართველისთვის, ყველა ეთნიკური ჯგუფის, საქართველოს მოქალაქეებისთვისაც მიუღებელია! და თუ ეს არის ფაშიზმი და ჰომოფობია, მაშინ გაუმარჯოს ასეთ ფაშიზმს!!!





ვისაც ასეთები მოგწონთ, ოჯახის წევრებად მოგახმაროთ გამჩენმა ღმერთმა



იხ. 4 გვ.

ღმერთო, შენ გვიშველე!

# ბოღმით და ღვარძლით მთვრალი „ტაბულა“-„ლიბერალი“ და...

(მესამე გვერდიდან)

რადგანაც ამ ქვეყნად მამა ღმერთის გარდა, სატანაც არსებობს, სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეშმაკმაც საკუთარ ხატად და სახედ შექმნა ეს ღვთის გარეგანი პედერასტები თუ სექტანტი ხლისტები, რომელთაც ერთ უფლებას მაინც უტოვებს დიდსულოვანი საქართველო — **ვისაც რაც გინდათ და როგორც გინდათ ისე იყავით ქვევითაც და ზევითაც, ოღონდ სადმე, სოროებში შეძვერით და იქ აღასრულეთ თქვენი გარყვილობები, მაგრამ გეიპარადებს ვერ ეღირსებით ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში.**

ხოლო ვისაც მეტი უფლებები გინდათ, იქ მიბრძანდით, სადაც ეშმაკის „მადლით“ დაკანონებულია ერთსქესიანი ქორწინებებიც და გეიპარადებიც. ასეთი პედერასტულ-სექტანტური სამოთხე კი, ჰოლანდიის თამადობით, 6-7 ქვეყანაა მსოფლიოში. თუნდაც ინგლისი რად ღირს, სადაც ანგლიკანურ ეკლესიაში უკვე დედაკაცი მღვდლებიც ჰყავთ, და სადაც ამას წინათ ცნობილი პოპ-ვარსკვლავი ელტონ ჯონი გათხოვდა. უფრო მეტიც, ეს ბედნიერება მას ინგლისის დედოფალმა მიულოცა და ქორწილშიც ეწვიაო, ამბობენ. ჰოდა, მიდით, ქართველო პედერასტებო!

რაც შეეხებათ ჩვენს ლიბერალ-დემოკრატებს, თინიკო ხიდაშელის თამადობით, ჯერ ადრეა და, თუ დრო მოვიდა, ისინიც გამოაჩენენ ლიბერასტულ ბრჭყალებს ისე, როგორც ლევან ბერძენიშვილმა გამოაჩინა თავის დროზე, როცა ილია ჭავჭავაძეს ნაწერებს ანაქრონიზმი უწოდა.

ილიაზე გამახსენდა და დარწმუნებული ვარ, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ისიც და ბევრი სხვა თერგდალეულიც მოაწერდა ამ მიმართვას ხელს.

და საერთოდ, როცა ვინმეს პრორუსულობაზეა ლაპარაკი, ანუ იმაზე, თუ როგორ უთავსებს გულაშვილი ნაციონალისტურ რიტორიკას პრორუსულობას, დიდი ილიას ბრწყინვალე წერილი **„100 წლის შემდეგ“** წაიკითხეთ და ნახავთ, როგორ უთავსებს ერთმანეთს ილია ეროვნულობას და რუსის ჯარის პირველად შემოსვლას თბილისში. ისე, ეს არც იმ ე.წ. ისტორიული ჭეშმარიტების დამდგენ კომისიას აწყენდა, რომელმაც მიშას საამო დასკვნა უნდა დადოს ამ წლის ბოლოს.

ახლა გთავაზობთ რამდენიმე გვარ-სახელს იმ „ხელმოცარული ხალხის“ სიიდან, ვინც ხელი მოაწერა იმ წერილს, ანუ „კოლექტიური შევარდნაძეების“, განსაკუთრებულად ხელმოცარული პიროვნებების გვარებს, რომლებიც არა მხოლოდ მალხაზ გულაშვილის დაჯგუფების ქმედებებზე იზიარებენ პასუხისმგებლობას, არამედ — **„უპირისპირდებიან ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ღირსეულ მომავალს“**, რაც უეჭველად „გვეჯლანება“ მიშას მეცადინეობით:

**თამაზ წივწივაძე, რეზო ამაშუკელი, გიგა ლორთქიფანიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ელიზბარ ჯაველიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ზურა ქაფიანიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, რობიკო სტურუა, კახი კავსაძე, ვაჟა აზარაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, გოგა ხაინდრავა და ა.შ.**

„კოლექტიური შევარდნაძე“ იქით იყოს და, ბატონ ედუარდს საკუთარი ცოდვები ეყოფა, ლიბერასტებმა რომ არ მოუგონონ. დიახ, მოუგონონ, რადგან იმისი თქმა, რომ „შევარდნაძის მმართველობა ებრძოდა რწმენასა და სიტყვის თავისუფლებას“, როგორც მინიმუმ ტყუილი და უსინდისობაა.

საბჭოეთის უკიდეგანო ტერიტორიაზე თუ სადმე უბერავდა ლიბერალური სიო ხელოვნებაში, ეს საქართველოში და სწორედ შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროს იყო. მაშინ შეიქმნა ჩვენი კინო, თეატრალური თუ ლიტერატურული შედევრები, როცა დანარჩენ საბჭოეთში მართლაც უძრაობის ხანა იყო.

ეგეც არ იყოს, რომ არა მართლაც დემოკრატიის მაღალი ხარისხი (მარტო „დარდუბალა“ რად ღირსძ, უკვე პრეზიდენტ შევარდნაძის პერიოდში, ვერც ჩვენი დამაქცევარი და ლიბერასტების ამშენებელი „ვარდების რევოლუცია“ მოხდებოდა.



ახლა კი კვლავ მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ: წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა „რუსთავი-2“-ით გასული ვრცელი სიუჟეტის შესახებ მიამბეს, ანუ

### ცოტა ჭკუას ძალა დაატანე, შე ბლენძო!

არ მიყურებია, მაგრამ ალბათ გოგოტიშვილი იქნებოდა ამ სიუჟეტის ავტორი, სადაც ზემოთ ხსენებულ თემაზე იყო საუბარი. თურმე ნუ იტყვით და, იმ 182 ხელმოწერის საპირწონედ ლიბერასტებსაც შეუგროვებიათ 300-მდე ხელმოწერა. ისე ძალიან მაინტერესებს ის ლიბერასტული სიის ნახვა, რადგან ეჭვი მეპარება, რომ არათუ 182 ადამიანის, არამედ მხოლოდ ჩემს მიერ დასახელებული პიროვნებების ავტორიტეტთან და მათ მიმართ ხალხის სიყვარულთან, ახლოს მაინც მივიდეს ის 300 ადამიანი.

„რუსთავი-2“-ის ეთერში თავლიკ და გავაგასიებული ბენდუქიძეც გამოსულა და, ლიბერალური ეკონომიკა ხომ აგვიშენა ამ ბლენძმა და, ახლა ზნეობრივ კატეგორიებზე დაუწყია ლაქლაქი.

ქრისტე რომ ცოცხალი იყოსო, წამოუტორტლავს ამ არაკაცს, ის 182 ხელმომწერი მის ჯვარცმაზე მოაწერდა ხელსო!

ღირს კი მისთვის პასუხის გაცემა? თუმცა ერთი კი მაინც უთუოდ უნდა ითქვას: **სადაა პატრონი, თორემ, რაც ამ უტიფარმა დამართა საქართველოს, რომელსაც ყველაფერი ამქვეყნიური სიკეთე გაუყიდა და რუსებს მიჰყიდა, ამისთვის იგი მართლაც ჯვარზეა გასაკრავი, მაგრამ მაგ ბღენძს რომელი ლურსმანი გაუძლებს?** გახსოვთ ალბათ მისი ფრთიანი ნათქვამი მაშინ, აქ რომ ახალი ჩამოთრეული იყო — ნამუსის გარდა ყველაფრის გაყიდვა შეიძლებაო! ამ უნამუსომ, ამან...

**დათო მხეიძე**

***P. S.* *ახლა მოდაშია ყველანაირი უმცირესობების და არა მხოლოდ პედერასტების უფლებების დაცვა და, საერთოდ, იგნორირებულია უმრავლესობის უფლებები. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ასეა — ყველას ყველაფრის უფლება აქვს, ქართველის, მართლმადიდებლის გარდა. თუმცა ამას წინათ მიშამ ისიც დაახეთქა, მართლმადიდებელი ქრისტიანები უმცირესობაში არიან საქართველოშიო.***

***ღმერთო, შენ გვიშველე და დაგვიფარე!..***

***დ. მ.***

გლობალიზაცია და თვითმყოფადობა

# „ღია კარის“ პოლიტიკა ჩვენთვის დამღუპველია

***„ამბასადორში,“ ერეკლე მეორის საზოგადოების ინიციატივითა და საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის მხარდაჭერით, საერთაშორისო მრგვალი მაგიდა გაიმართა: „თვითმყოფადობა და გლობალიზაცია: გამოწვევები და პერსპექტივები.“***

***მრგვალ მაგიდაში მონაწილეობდა 30-მდე ექსპერტი... სამწუხაროდ, მხოლოდ საქართველოდან და სომხეთიდან. გაირკვა, რომ ამ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში არ შემოუშვეს ჯერ ცნობილი ებრაელი პოლიტოლოგი და პუბლიცისტი ავიგდორ ესკინი, ხოლო მოგვიანებით, 14 სექტემბერს — სტრატეგიული განვითარების მოდელირების პირველი ვიცე-პრეზიდენტი გრიგორი ტროფიმჩუკი, რომელიც თბილისში მრგვალი მაგიდის დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა.***

ღონისძიება მაინც საინტერესოდ წარიმართა. მისმა ორგანიზატორებმა მოახერხეს იერუსალიმიდან პირდაპირ ტელეფონით ჩართულიყო ბატონი ავიგდორ ესკინი, რომელმაც განაცხადა, რომ პრეზიდენტები მარადიულნი არ არიან, ისინი წავლენ, მისი დამოკიდებულება და სიყვარული საქართველოს მიმართ კი დარჩება და ამ გრძნობას ვერავინ წაშლის.

— გლობალიზაციის ფონზე თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხი მრავალ ერს აღელვებს, რომლებსაც ქართველებიც მიეკუთვნებიან, — აღნიშნა საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორმა **ნანა ჯაფარიძემ**, — დაახლოებით 200 წლის განმავლობაში ჩვენი ხალხი ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში ცხოვრობდა რუსებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან ერთად. ამ ერთობლივი ცხოვრების დროს ჩამოყალიბდა საერთო ტრადიციები. ჩვენ, ყველანი განსხვავებული ვართ, მაგრამ, იმავდროულად, მრავალი მსგავსებაც გვახასიათებს, მით უმეტეს, რომ დღეს ამ ხალხებს მსგავსი პრობლემები აწუხებთ.

კონფერენციის დღის წესრიგში სამი ქვეთემა იყო: „გლობალიზაცია თუ მრავალკულტურული გარემო;“ „ფუნდამენტური რელიგიები: თვითმყოფადობის შენარჩუნების დასაყრდენი;“ და „მეზობელ ხალხებს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესების სტრატეგიები.“

მთავარი მომხსენებლები იყვნენ: პუშკინის საზოგადოების თავმჯდომარე, გაზეთ „მრავალეროვნული საქართველოს“ რედაქტორი **მიხეილ აიდინოვი**, ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარე **არჩილ ჭყოიძე**, პროფესორი, ლიტერატურათმცოდნე **თეიმურაზ ქორიძე**, ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი **გულბაათ რცხილაძე**.




საინტერესოდ ისაუბრა ბატონმა **მიხეილ აიდინოვმა**. მან მეცნიერულად განმარტა გლობალიზაცია და ისაუბრა მის ტენდენციებზე, თუმცა არც მარტივი განმარტებებისათვის აურიდებია თავი. მას სიტყვა „გლობალიზაცია“ „ევროვიზიის“ კონკურსს აგონებს, სადაც მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა საკონკურსო სიმღერებს ინგლისურ ენაზე ასრულებს.

**თეიმურაზ ქორიძე, ლიტერატურათმცოდნე:** — გლობალიზაცია, თქვენ წარმოიდგინეთ, აფიქრებს და აშინებს არა მხოლოდ ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერებს, არამედ ისეთ დიდ, მყარი გარანტიის მქონე სახელმწიფოებს, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია. ისტორიის ფილოსოფოსმა არტურ სლესინჯერ უმცროსმა, რომელიც გახლდათ პრეზიდენტ კენედის მრჩეველი, მამამისი კი აშშ-ის ერთ-ერთი დიდი ისტორიკოსია, თავის წიგნში „ამერიკის ისტორიის ციკლები“ დაწვრილებით აღწერა ამერიკული მესიანიზმის შუქ-ჩრდილები, თუ რა უდევს მას საფუძვლად, რას ემყარება „ღია კარის“ პოლიტიკა, რომელიც აღიარებულია ამერიკული პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებად.

გლობალიზმისგან დასაცავად უმთავრესი იარაღი, ვფიქრობ, ყველა ფუნდამენტური რელიგიაა. რატომაა, რომ გააფთრებული დაპირისპირებაა მაჰმადიანურ სამყაროსთან? იმიტომ, რომ მაჰმადიანური სამყარო შედარებით ახალგაზრდაა, და უფრო მძაფრად, მგრძნობიარედ განიცდის გლობალიზმის შემოტევას. ჩვენ კი საკუთარი პრობლემები გვაქვს. ჯერ კიდევ ვერ ჩამოვყალიბებულვართ, ვერ გავრკვეულვართ, ეროვნული პოზიციები, პოლიტიკური ორიენტირები ვერ გაგვირკვევია. ასეთ დროს გაცილებით უფრო სახიფათოა გლობალიზმის შემოტევა, ვიდრე ძლიერი, ჩამოყალიბებული, საკუთარი ადგილმოპოვებული ერებისა და ქვეყნებისთვის.

**ნანა ჯაფარიძე, საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორი:** — კმაყოფილი ვარ სემინარით. წარმოიდგინეთ, როგორ გაამდიდრებდა ამ ღონისძიებას ბატონების: ესკინისა და ტროფიმჩუკის დასწრება. თუმცა ავიგდორ ესკინთან საკმაოდ ხანგრძლივი სატელეფონო ჩართვის საშუალება გვქონდა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორ სალად აფასებს ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს, ზოგადად პრობლემების მოგვარებას. იგი ძალიან მართალი ადამიანია, ამიტომ მოგვწონს და ვმეგობრობთ მასთან.

რაც შეეხება სასემინარო თემას — გლობალიზაციას, იგი გარდაუვალია. ეპოქები, დრო იცვლება, მაგრამ გლობალიზაციამ არ უნდა მოუტანოს ზიანი ერებს და არ უნდა დააკნინოს მათი თვითმყოფადობა, არ მოახვიოს მათ მიუღებელი ჩვევები. საქართველოს ჩამოყალიბების, განვითარების, აღორძინების მთელი ისტორია ემთხვევა ქრისტიანობის შემოსვლას, მის განვითარებას. თუ ჩვენ მოვწყდებით რელიგიურ საფუძველს, ფუნდამენტს, მაშინ აქ ვიღაც ხალხი იცხოვრებს, რაღაც ენაზე ისაუბრებს, შემორჩება რაღაც ნიშნები, რომ ოდესღაც დიდი კულტურის მქონე ერი ცხოვრობდა, მაგრამ ეს არ იქნება არც ქართული და არც საქართველო. ამის ნიშნები, სამწუხაროდ, უკვე ჩანს, და საკმაოდ შემაშფოთებელია. ამიტომ აუცილებელია სწორი სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება. სტრატეგიის შემუშავება ხელისუფლებას მართებს, მაგრამ ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ამით ვართ დაინტერესებული, გვმართებს ხელი შევუწყოთ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, სტრატეგიის საფუძვლების მომზადებას. მომზადებული უნდა შევხვდეთ გლობალიზაციის ძალიან ძლიერ შემოტევას.

**არჩილ ჭყოიძე, ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარე:** — საქართველოში უპრეცედენტო რამ მოხდა, არ შემოუშვეს ჩვენს სემინარზე დასასწრებად პოლიტოლოგი ისრაელიდან, ცნობილი პუბლიცისტი ავიგდორ ესკინი. ჩვენმა საზოგადოებამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. საქართველოს ტელევიზიებიდან კი ამ ფაქტის გასაშუქებლად თითქმის არავინ მოსულა. ესწრებოდა მხოლოდ რუსული ტელეკომპანია „მირი“ და „მაესტრო.“

ამ საკითხს ძალზე ფართოდ აშუქებენ ინტერნეტსაიტები, ისრაელის ტელევიზიებით ყოველ დღე აცხადებენ, რომ საქართველო ანტისემიტურ სახელმწიფოდ ყალიბდება, ჩვენი მასმედია კი დუმს. საქართველოში ხმამაღლა საუბრობენ დემოკრატიაზე, თუმცა მთელი მსოფლიო ხედავს ქართული დემოკრატიის ავტოკრატიულ შუქ-ჩრდილებს. საქართველოში უშვებენ იმას, ვინც მოსწონს საქართველოს ხელისუფლებას და მასთან კორუფციულ გარიგებაშია, ხოლო მას, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს ქართველი ხალხი, წინააღმდეგობას უქმნის.

**არნოლდ სტეპანიანი, სომხური დიასპორის წარმომადგენელი:** — პერსონა ნონ-გრატები სომხეთიდანაც არიან. სომხეთის პარლამენტის დეპუტატი, აქტიური პოლიტიკური ლიდერი შირაქ ტოროსიანი რამდენიმე თვის წინათ არ შემოუშვეს საქართველოში და პერსონა ნონ-გრატაა... მხოლოდ იმის გამო, რომ რადიკალურ განცხადებებს აკეთებსო.

აღსანიშნავია, რომ მონაწილეებმა იმსჯელეს ეფექტიანი სახალხო სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობის შესახებ, ასევე განიხილეს ის გზები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს მეზობელ ხალხებთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, თითოეული მათგანის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ორიენტაციით.

**ნატა ნიბლაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პირისხუდმა პრეზიდენტმა თავი მოიკლა

**საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ტყვია თავში დაიხალა. ამის შესახებ სახელმწიფოს მეთაურის გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე განაცხადა რობინზონ მარგველანმა, რომელიც მაშინ მუშაობდა პრეზიდენტის დაცვის უფროსად. მარგველანის სიტყვებით, გამსახურდიამ სუიციდი გადაწყვიტა ცხოვრების რთული სიტუაციის გამო. ჯერ ერთი, სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში ის გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, მეორეც, მას მუდმივად სდევნიდნენ, და, მესამეც, მას დაეწყო პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით**



ექს მცველმა გაიხსენა, რომ იმ ტრაგიკულ ღამით (1993 წლის 31 დეკემბერიძ ის იმყოფებოდა სახელმწიფოს მეთაურის ოთახის გვერდით და როდესაც გაისმა სროლის ხმა, უმალვე შევიდა იქ. ოთახში გამსახურდია მარტო იყო, ხელში ჰქონდა პისტოლეტი. ჭრილობა თავში იყო მხოლოდ ერთი, და არა ორი, როგორც ადრე აცხადებდა გამსახურდიას ოჯახის დაცვის ყოფილი წევრი სოსო ფორია. მარგველანმა დაუმატა, რომ ვერსია პრეზიდენტის ოთახში შემთხვევითი მომსვლელის ყოფნის შესახებ შეიძლება იყოს მხოლოდ თეორიული, მაგრამ პრაქტიკულად არარეალური.

ამავე დროს მცველის ჩვენებებს კატეგორიულად არ დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარე, ზვიად გამსახურდიას შვილი კონსტანტინე. სხდომის შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მარგველანის დღევანდელი ჩვენება ეწინააღმდეგება მისსავე ჩვენებებს, რომლებიც მან პროკურატურას მისცა: „მარგველანის წინა ჩვენებანი, აგრეთვე ექსპერტების დასკვნა და შეგროვილი დოკუმენტაცია საპირისპიროზე მეტყველებენ“.

ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს 1991 წელს, 1992 წელს კი იგი გადააყენეს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. ამის შემდეგ ის სათავეში ედგა მთავრობას დევნილობაში. იგი ემალებოდა მთავრობის ჯარებს და 1993 წელს იდუმალ ვითარებაში დაიღუპა კიდეც.

ოფიციალური ვერსიით, მან თავი მოიკლა სამეგრელოს რეგიონის ერთ-ერთ სოფელში, სადაც იგი რამდენიმე თავის მომხრესთან ერთად ემალებოდა ხელისუფლებას. მაგრამ ეს ვერსია ქვეყანაში ბევრისთვის საეჭვოა, თანაც დაღუპულის ოჯახის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ გამსახურდია მოკლეს.

მიმდინარე წლის აპრილში უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ, პუბლიცისტმა და მწერალმა ელიზბარ ჯაველიძემ განაცხადა, რომ პირველი პრეზიდენტი იყო ძლიერ ნაცემი (თითქოს მას ჩამტვრეული ჰქონდა 5 ნეკნიძ, შემდეგ კი მოკლეს. ჯაველიძე ამბობდა, რომ მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მეთაურს თავში ესროლეს, მან კიდევ მიიღო საკონტროლო ტყვია კისერში.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ვითარების შემსწავლელი კომისია შეიქმნა 2009 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრთა მოწონების შემდეგ.

**სვეტლანა პროკოფიევა**

Утро.ru

# პროცესი 15 მოსამართლეს მიჰყავს

**თბილისი მოსკოვს აკისრებს პასუხისმგებლობას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდისთვის. ჰააგაში გაეროს საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარეობს მოსმენა ამ საკითხთან დაკავშირებით**

13 სექტემბერს რუსეთის წარმომადგენლები შეეცადნენ დაედასტურებინათ, რომ საქართველოს სარჩელი არ ექვემდებარება ჰააგის სასამართლოს იურისდიქციას. მეორე დღეს უკვე ქართველი იურისტები და დიპლომატები ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ მოსამართლეები საპირისპიროში. 15 სექტემბერს დაიწყო მოსმენის მეორე რაუნდი. პარასკევს კი რუსეთის და საქართველოს დელეგაციები უკანასკნელად გაცვლიან კონტრარგუმენტებს. და მხოლოდ ამის შემდეგ 15 მოსამართლე გადაწყვეტს, დაიწყება თუ არა საქმის განხილვა არსებითად თუ იგი დაიხურება.



მოსმენის პირველ დღეს რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სარჩელის განხილვა ძირითადი სასამართლოს იურისდიქციაში არ შედის და იგი არასწორი მისამართით არის წარმოდგენილი. ისინი მიიჩნევდნენ, რომ გაეროს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ მიუღებელია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში წარმოქმნილ კონფლიქტთან დაკავშირებით.

ბრალდებას ეთნიკური წმენდის შესახებ რუსეთის დელეგაციამ მოგონილი უწოდა. „დოკუმენტები, რომლებსაც იშველიებს საქართველო, ან არ განეკუთვნებიან რასობრივ დისკრიმინაციას ანდა მათ არა აქვთ არანაირი დამოკიდებულება რუსეთთან, როგორც მოპასუხე მხარესთან“, განაცხადა ნიდერლანდში რუსეთის ელჩმა რომან კოლოდკინმა.

საერთოდ, რუსეთი მიიჩნევს, რომ საქართველო თავად ცდილობდა გადაეჭრა კონფლიქტები ძალისმიერი მეთოდებით. სხვა წინააღმდეგობათა არსი შეეხება პროცესის ფორმალურ მხარეს. თუ იურიდიულ წვრილმანებს არ შევეხებით, პირობითად ისინი შეიძლება 2 ჯგუფად დავყოთ. მოსკოვში მიიჩნევენ, რომ „რუსეთსა და საქართველოს შორის არასოდეს ყოფილა დავა რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით“. მეორეც, აღინიშნებოდა, რომ საქართველომ არ აამოქმედა „სპეციალური პროცედურები“, რომლებიც განსაზღვრულია კონვენციის მიერ, როდესაც უმალვე მიმართა გაეროს უმაღლეს სასამართლო ორგანოს.

სამშაბათს მოსამართლეების წინაშე გამოვიდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე თინა ბურჯალიანი. „ჩვენ იძულებული ვიყავით გვემოქმედა, რომ შეგვეჩერებინა ასობით ათასი ქართველის გამოდევნა საკუთარი სახლებიდან, – თქვა მან. საქართველოს მოსახლეობის თითქმის 10 პროცენტი ცხოვრობს ამჟამად თავის ქვეყანაში ლტოლვილის მდგომარეობით“.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მოსამართლეები საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანენ 2010 წლის ბოლომდე. სხვათა შორის, მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

16 სექტემბერს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში გაჩაღდა მორიგი სკანდალი. თბილისში უნდა გახსნილიყო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა იურიდიულ საკითხებსა და ადამიანთა უფლებებზე. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყანაში შესვლა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის აუკრძალა კომისიის წევრს, დელეგატს რუსეთიდან სერგეი მარკოვს. თბილისი ამას ხსნის იმით, რომ მარკოვი საქართველოს მთავრობის მიერ წინასწარი ნებართვის გარეშე იმყოფებოდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ეს კი, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება ამას წინათ მიღებულ კანონს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. რუსეთის მხარე – საპასუხოდ – იძულებული იყო უარი ეთქვა სხდომაში მონაწილეობაზე. ამჟამად რუსეთს განსაზღვრული აქვს, დააყენოს საკითხი საქართველოს ხელისუფლების მოქმედებათა შესახებ ასამბლეის უახლოეს სესიაზე. იგი გაიმართება 4-8 ოქტომბერს სტრასბურგში.

**კირილ კოლოდინი**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# „ასრ“-ის პოლიტიკური მოტივები

**აზერბაიჯანის, საქართველოს და რუმინეთის (ასრ) პრეზიდენტებმა ბაქოში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ახალ ენერგეტიკულ პროექტზე. პროექტი ითვალისწინებს აზერბაიჯანის ბუნებრივი თხევადი გაზის ტრანსპორტირებას საქართველოს ტერმინალით რუმინეთში, შემდეგ კი ევროპის ბაზრებზე**

ტექნოლოგიებისა და ლოგისტიკის თვალსაზრისით ეს პროექტი მეტად ამბიციურია, ხოლო თუ ვილაპარაკებთ სიმართლით – უბრალოდ არარეალური. უწინარეს ყოვლისა ეს არის ტექნოლოგია, რომელიც აუცილებელია თხევადი გაზის ტრანსპორტირების ობიექტების შექმნისთვის: პროექტში მონაწილეებს იგი უბრალოდ არ გააჩნიათ, ეს ნიშნავს, რომ ობიექტების მშენებლობისთვის ქვეყნებს მოუწევთ მიმართონ სხვა სახელმწიფოებს ნოუ-ჰაუსა და ინვესტიციებისთვის.

კიდევ ერთი საკითხი – დაფინანსება. წინასწარი შეფასებებით, პროექტის ღირებულებამ შეიძლება შეადგინოს 2 მილიარდიდან 5 მილიარდამდე, ამ ქვეყნებისთვის ეს უბრალოდ გადაულახავი თანხაა.

კიდევ ერთი ასპექტი – საბადო. ნავთობსადენმა, რომლითაც უნდა მოხდეს აზერბაიჯანის გაზის ტრანსპორტირება საქართველოში, უნდა გაიაროს აფხაზეთის გვერდით, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის კონტროლის ქვეშაა. რესპუბლიკაში დაბანაკებული არიან რუსეთის ჯარები, და რუსეთს, თუ მოინდომებს, სავსებით თავისუფლად შეუძლია მიაყენოს ობიექტებს ზარალი.

უფრო მეტად პროექტი ატარებს არა ტექნიკურ ხასიათს, არამედ პოლიტიკურს. საინტერესოა, რომ სამივე ქვეყანას ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთთან ჰქონდა პრობლემები. საქართველო რუსეთთან კონფლიქტშია მეამბოხე რესპუბლიკების – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გამო. რუსეთი და რუმინეთი ამ ცოტა ხნის წინათ დავობდნენ მოლდოვასთან დაკავშირებით, რომელიც ერთგვარი ბუფერული ზონაა ორივე ქვეყნისთვის, აგრეთვე დნეპრისპირეთის სეპარატისტულ რესპუბლიკასთან დაკავშირებით. დაბოლოს აზერბაიჯანიც, ტრადიციულად ბაქო – უფრო დამოუკიდებელი და პრაგმატული ქვეყანაა, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთმა დადო სამხედრო ხელშეკრულება აზერბაიჯანის დაუძინებელ მტერთან სომხეთთან. ესე იგი ყველა ამ სახელმწიფოს რუსეთთან ჰქონდა პრობლემები, და ახლა მათ მოილაპარაკეს მიიღონ მონაწილეობა ამ ენერგოპროექტში.

კიდევ ერთი საკვანძო მოთამაშე – თურქეთი. სინამდვილეში თურქეთმა განაცხადა, რომ არ უჭერს მხარს ამ პროექტს იმიტომ, რომ აზერბაიჯანის გაზს, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული პროექტში, თურქეთი აპირებს გამოიყენოს სხვა პროექტებში, ისეთებში, რომლებშიც თავად ანკარა ლებულობს მონაწილეობას. უწინარეს ყოვლისა, ეს არის ნაბუკოს პროექტი. მაგრამ არის სხვა პროექტებიც, სადაც გათვალისწინებულია აზერბაიჯანის გაზის საბადოების ამოქმედება. შედეგად, აზერბაიჯანს სურს უჩვენოს რუსეთსა და თურქეთს, რომ მას შეუძლია აირჩიოს, და რომ ამგვარი ენერგოპროექტები მას აძლევენ არჩევანის საშუალებას.

**სტრატ ფორი**

STRATFOR

## დედამიწის ზურგზე



**კარლა ბრუნის გულღია საუბარმა ობამას ცოლის შესახებ სკანდალი გამოიწვია ვაშინგტონსა და პარიზში**

ბრუნის ახალ ბიოგრაფიაში მოყვანილია მისი საუბარი მიშელ ობამასთან, რომლის დროსაც ამ უკანასკნელმა თავის ცხოვრებას თეთრ სახლში „ჯოჯოხეთი“ უწოდა. ვაშინგტონში ამას უარყოფენ, ელისეის სასახლეში კი აცხადებენ, რომ ბრუნის არავითარი დამოკიდებულება არ გააჩნია ამ სკანდალურ წიგნთან.

* * *

**ახალ ზელანდიას უახლოვდება ავსტრალიის ოდენა შემზარავი შტორმი**

ეს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გრიგალია პლანეტაზე. სტიქიის ძირითადი დარტყმა მოსალოდნელია ოკლენდის, ველინგტონის, ნელსონის, მარლბოროსა და კენტერბერის რაიონში. ქარის სიჩქარე ამჟამად 130 კილომეტრს აღწევს საათში. სტიქიას მოაქვს ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმები, თოვლი და ტემპერატურის დაცემა.

**ლუკაშენკომ ყველა თავის მოწინააღმდეგეს ერთბაშად „ხალხის მტრები“ უწოდა**



სკანდალური განცხადება ბელარუსის ლიდერმა გააკეთა თავისი პირველი საჯარო გამოსვლის დროს საარჩევნო კამპანიის სტარტის შემდეგ. ბელარუსში პრეზიდენტის არჩევნები გათვალისწინებულია 19 დეკემბრისთვის. ოპონენტებმა უარი განაცხადეს ლუკაშენკოს სიტყვების კომენტარებზე, მას უბრალოდ ბოდვა უწოდეს.

* * *

**ძლიერმა შტორმმა ნიუ-იორკის გარეუბანში შეაფერხა მატარებლის მოძრაობა, დაიღუპა ერთი კაცი**

ქარმა და კოკისპირულმა წვიმებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მეტროპოლიტენის ხუთი ხაზის ენერგომომარაგება. ძლიერმა ქარმა მეგაპოლისში ბევრი მცენარე მოთხარა. დაცემის დროს მათ დაწყვიტეს ელექტროგადაცემის ხაზები, უშუქოდ დატოვეს ბრუკლინის, სტეიტენ-აილენდის და მანჰეტენის რაიონების მცხოვრებლები.

* * *

**ამერიკელმა ექსპერტებმა აღმოაჩინეს წელიწადი, როდესაც ზაფხული უფრო ცხელი იყო, ვიდრე 2010 წელს.**

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერტებმა განაცხადეს, წყლის და ხმელეთის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა მიმდინარე წლის ივნისიდან აგვისტომდე შეადგენდა 16,2 გრადუსს ცელსიუსით. მთელი XX საუკუნის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა შეადგენდა 15,6 გრადუსს. თუ მხოლოდ აგვისტოს მაჩვენებლებს ავიღებთ, ისინი მესამე აღმოჩნდნენ დაკვირვების მთელი ისტორიის მანძილზე 1998 და 2009 წლების დონეთა შემდეგ.



# მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი

## აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე – 80



აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე
მინდია მიდელაშვილის ფოტო.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს ჯუმბერ ლომინაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ჩვენი საზოგადოება მას იცნობს როგორც შესანიშნავ მეცნიერ-ფიზიკოსს, ღირსეულ მამულიშვილს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, მრავალი ინტერესებისა და ნატიფი სულის მქონე ადამიანს.**

ჯუმბერ ლომინაძის ბუნება, ნიჭი და უნარი მრავალპლასტიანია. იგი არის მშვიდი, თანმიმდევრული და ყოველდღიურობაზე ამაღლებული; კაცთმოყვარე და ადამიანების ღირსებებით აღტაცების ნიჭით მადლცხებული; მშვენიერებასთან წილნაყარი ფაქიზი სულის ადამიანი. მას ახასიათებს დაუშრეტელი ლტოლვა ბუნების საიდუმლოებათა გააზრებისა და ირგვლივ მყოფთა შემოქმედებითი დამუხტვისა. ამ თვისებათა შერწყმამ განაპირობა ჯუმბერ ლომინაძის ინტერესების, შემოქმედების და ცხოვრების მრავალფეროვნება, ის მნიშვნელოვანი როლი, რასაც ის ასრულებს ჩვენს სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბატონი ჯუმბერი სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე (1950-55 წწ.), სადაც სპეციალიზდებოდა პლაზმის ფიზიკის დარგში. მეცნიერების ეს დარგი სწორედ მაშინ იწყებდა ინტენსიურ განვითარებას. იგი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, რადგან ძირითად მიზნად ისახავდა თერმობირთვული იარაღის „გაკეთილშობილებას“ – ისეთი რეაქტორის აგებას, რომლის საშუალებითაც მოხერხდებოდა თერმობირთვული რეაქციების მართვა და, შედეგად, კაცობრიობისათვის ფაქტობრივად ულევი, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროს შექმნა.



უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ჯუმბერ ლომინაძე სამუშაოდ გაანაწილეს ურალის ერთ-ერთ დახურულ ობიექტზე, სადაც უშუალოდ მონაწილეობდა ისტორიის იმ ეტაპზე ცხოველმყოფელ თერმობირთვული იარაღის სრულყოფის პროგრამაში. მიუხედავად ამისა, მისი სამეცნიერო ინტერესები განუყოფლად იყო დაკავშირებული პლაზმის ფიზიკისა და მართვადი თერმობირთვული რეაქციის პრობლემებთან.

# ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობის გზით

1958 წელს ჯუმბერ ლომინაძე დაბრუნდა საქართველოში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად შეუდგა პლაზმის ფიზიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

აკადემიკოს ჯ. ლომინაძის მეცნიერული მოღვაწეობა პირობითად შეიძლება ორ ეტაპად გაიყოს. პირველი ეტაპი ეხება პლაზმის ფიზიკის თეორიას – მართვადი თერმობირთვული რეაქციები, კოლექტიური მოვლენები პლაზმურ რეაქტორ ტოკამაკში, ციკლოტრონული ტალღების თეორია და სხვ ეტაპი ეხება კვლევას მეცნიერების ახალ დარგში – პლაზმურ ასტროფიზიკაში, რომელიც პლაზმის ფიზიკისა და ასტროფიზიკის მიჯნაზე შეიქმნა.

ჯუმბერ ლომინაძის საქმიანობის მოტივაციის მხოლოდ მინორული ნაწილი ემსახურება მის თვითდამკვიდრებას. ძირითადი ნაწილი კი მეცნიერებაში თვითგამოხატვით – ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობით, ახალგაზრდობის მეცნიერული აღზრდით, მეცნიერული სკოლის შექმნით – არის განპირობებული. სწორედ ამიტომაა მისი მოქმედება საფუძვლიანი და თანმიმდევრული და არა იმპულსური – სწრაფ გარეგან ეფექტებზე გათვლილი. ჯუმბერ ლომინაძის საქმიანობის შედეგები ფუნდამენტალური და მრავალფეროვანია. ეს ეხება მისი მეცნიერული მოღვაწეობის როგორც პირველ ეტაპს, როდესაც მეცნიერული კვლევების საგანს შეადგენდა უშუალოდ პლაზმის ფიზიკის თეორია, ასევე მეორე ეტაპს, როდესაც პლაზმის ფიზიკაში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე აწარმოებდა კვლევას ასტროფიზიკურ ობიექტებში მიმდინარე პროცესების შესასწავლად.

ჯუმბერ ლომინაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა თეორიული ასტროფიზიკის სამეცნიერო სკოლა, სადაც მიმდინარეობს როგორც ფუნდამენტური კვლევები უწყვეტ გარემოში შეშფოთებათა დინამიკისა, ასევე კვლევები სხვადასხვა ტიპის ასტროფიზიკურ ობიექტებში მიმდინარე მოვლენების შესასწავლად. ამ მიმართულებით კვლევის ობიექტების სპექტრი საკმაოდ ფართოა და იგი მოიცავს აქტიური გალაქტიკის ბირთვებს, შავი ხვრელების აკრეციულ დისკებს, პულსარების მაგნიტოსფეროს, მზეს, დედამიწის მაგნიტოსფეროს. ასევე ფართოა კვლევის მეთოდების სპექტრი. წარმოებული კვლევები ეფუძნება პლაზმის ფიზიკასა და ასტროფიზიკაში არსებულ კლასიკურ ცოდნას. ასევე ეფუძნება დინამიური მოვლენების მათემატიკური ანალიზის იმ სიახლეებს, რომლებიც სამეცნიერო საზოგადოების მიერ გააზრებულ იქნა მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლო დეკადაში (ამ გააზრებაში ჯუმბერ ლომინაძის მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლაც იღებდა აქტიურ მონაწილეობას); კვლევები წარმოებდა რიცხვითი თვლების გამოყენებით, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ბუნების ობიექტებში მიმდინარე კომპლექსური მოვლენების ადეკვატური გააზრება და აღწერა.

ეს სამეცნიერო სკოლა ჩამოყალიბდა თეორიული ასტროფიზიკის ჯგუფის ბაზაზე, რომელიც 1976 წელს შეიქმნა ჯუმბერ ლომინაძის ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. სკოლა ყალიბდებოდა ისეთ საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან ფართო თანამშრომლობის პირობებში, როგორებიც არიან: მერილენდის უნივერსიტეტი (აშშ); კოსმოსური კვლევების ინსტიტუტი (რუსეთი); ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი (რუსეთი); კემბრიჯისა და კარდიფის უნივერსიტეტები (დიდი ბრიტანეთი); კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (აშშ); ტეხასის უნივერსიტეტი (აშშ); რამანის სახელობის საკვლევი ინსტიტუტი (ინდოეთი); თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი (იტალია); შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტი (რუსეთი); კეპლერის სახელობის ასტრონომიული ცენტრი (პოლონეთი); პოლიტექნიკური სკოლა (საფრანგეთი); ტურინის ობსერვატორია (იტალია); პარიზის ობსერვატორია (საფრანგეთი).

პლაზმაში მიმდინარე ელექტრომაგნიტური მოვლენების მრავალი წლის ინტენსიური კვლევების შედეგად ჯუმბერ ლომინაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პლაზმის ფიზიკის ერთ-ერთი განხრის, ელექტრონული ციკლოტრონული ტურბულენტობის თეორიის შექმნაში. მოვლენები, რომლებიც ნაწინასწარმეტყველები იყო ჯუმბერ ლომინაძის თეორიულ შრომებში, შემდგომში უცხოელ მეცნიერთა მიერ ექსპერიმენტულად იქნა აღმოჩენილი. მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებამ დააინტერესა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამომცემლობა „პერგამონ პრესი“. მან 1981 წელს გამოსცა ჯუმბერ ლომინაძის მონოგრაფია „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში“, რომელიც ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნი გახდა.

ულოცავენ!

ძვირფასო ბატონო ჯუმბერ ლომინაძე,

ჩვენ, მართვადი თერმობითვული კვლევების ინსტიტუტში ვუერთდებით თქვენი 80 წლის მილოცვებს და ამ თარიღთან დაკავშირებით გისურვებთ ბედნიერებას. თქვენ გქონდათ და გაქვთ ბრწყინვალე კარიერა და ცნობილი ხართ როგორც საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერი პლაზმის ფიზიკაში.

ჩვენი საუკეთესო სურვილებით

ჯიმ ვან დამი,
ტეხასის უნივერსიტეტის თერმობითვული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, *ტეხასი, ქ. ოსტინი, 27.08.2010*

ჯუმბერ ლომინაძემ და მისმა თანამშრომლებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ მიმართულებას – ელექტრონულ-პოზიტრონული პლაზმის ელექტრომაგნიტურ თეორიას, რომლის საფუძველზე აგებულ იქნა კიბორჩხალას ნისლეულში მყოფი პულსარის გამოსხივების მოდელი: ნაპოვნია პულსარების ელექტრომაგნიტური ტალღების სიხშირეთა სხვადასხვა დიაპაზონში გამოსხივების მექანიზმები და ახსნილია ამ გამოსხივებების თავისებურებები. ასევე ფუნდამენტური კვლევებია ჩატარებული თვით კიბორჩხალას ნისლეულში მიმდინარე მოვლენების შესასწავლად.



20.09.2010წ.

ძვირფასო ჯუმბერ,

ძალიან მიხარია, რომ სახელოვან იუბილეს ასე მხნედ და ჯანმრთელად ეგებები; შემოქმედებითი ენერგიით და სიცოცხლის ხალისით ისევ სავსე ხარ და სიკეთის ქმნის სურვილი და უნარი ხომ არა და არ დაგიკარგავს.

დიდხანს იცოცხლე და იბედნიერე შენს შესანიშნავ ოჯახთან ერთად. ბატონმა ღმერთმა ნუ მოგაკლოს მფარველობა.

დიდი მადლობა იმისათვის, რომ სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე ძმობას მიწევ და დაუშურველად მინაწილებ შენი გულის სითბოს.

გულწრფელი სიყვარულით,

შენი ვანო [illegible]

P.S. [illegible]

ჯუმბერ ლომინაძის ასტროფიზიკური კვლევების არეალმა ასევე მოიცვა სამყაროს ყველაზე ეგზოტიკური ობიექტების – შავი ხვრელების – ირგვლივ არსებულ ე.წ. აკრეციულ დისკოებში მიმდინარე ფიზიკური პროცესები. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა თეორიული მოდელი ამ დისკოების რენტგენული გამოსხივების თავისებურებების ასახსნელად. ამ ტიპის დინამიური მოვლენების კვლევისათვის არაადეკვატური აღმოჩნდა კლასიკური მათემატიკური მეთოდი. საჭირო გახდა ოპტიმალური მათემატიკური ფორმალიზმის შემუშავება და გამოყენება. ეს საკითხები მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ გააზრებულ იქნა მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლო დეკადაში. მნიშვნელოვანია ჯუმბერ ლომინაძის მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლის წვლილი ამ საკითხების გააზრებაში და არაერთგვაროვან ასტროფიზიკურ და ატმოსფერულ დინებებში მიმდინარე დინამიური მოვლენების აღწერაში. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევისათვის მკვლევართა ჯგუფს ჯუმბერ ლომინაძის ხელმძღვანელობით 2002 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში.

გარდა თეორიული კვლევებისა, მნიშვნელოვანია ჯუმბერ ლომინაძის აქტივობა ექსპერიმენტულ გამოკვლევებში, რომელთა იდეოლოგია შემუშავდა 80-იანი წლების დასაწყისში ჩვენს თანამემამულე, მოსკოვის კურჩატოვის სამეცნიერო ცენტრის პროფესორ ვლადიმერ ფეტვიაშვილთან ერთად. ერთიანი ძალისხმევით აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში შეიქმნა ექსპერიმენტული დანადგარი, რომლის საშუალებითაც ხდება დედამიწის ატმოსფეროსა და ოკეანეებში გრიგალების – ციკლონებისა და ანტიციკლონების – ჩამოყალიბებისა და დინამიკის მოდელირება.

ასევე მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები აქვს ჯუმბერ ლომინაძეს მიღებული მზეზე, დედამიწის მაგნიტოსფეროსა და ატმოსფეროში მიმდინარე პლაზმური პროცესების ასახსნელად.

მეცნიერული კვლევების ეს ფართო არეალი, მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან და ჯუმბერ ლომინაძის მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლისთვის დამახასიათებელი ფიზიკური აზროვნების მაღალი კულტურა, ახალგაზრდა მეცნიერთა დამოუკიდებელ მკვლევარებად სწრაფ ჩამოყალიბებას განაპირობებდა და განაპირობებს. ამ სამეცნიერო სკოლაში აღიზარდა ოცამდე მეცნიერებათა კანდიდატი და მომზადდა ექვსი მეცნიერებათა დოქტორი. შედეგად კიდევ უფრო იზრდება შექმნილი სკოლის სამეცნიერო პოტენციალი და მოღვაწეობის არეალი. ამ სკოლაგამოვლილი მეცნიერები ამჟამად მუშაობენ ამერიკაში, გერმანიაში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, ისრაელში, პოლონეთში. ეს სკოლა კარგი „ტრამპლინია“ ახალგაზრდა მეცნიერთა მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრებისათვის და შემდგომი გზის გაკვლევისათვის. ბატონი ჯუმბერი მიესალმება და ყოველმხრივ ხელს უწყობს ამ ინტეგრებას, იგი ამაყობს ამით. თავის დროზე ახალგაზრდა მეცნიერებზე ზრუნვით იყო, უპირველეს ყოვლისა, ნაკარნახევი ბატონი ჯუმბერის თაოსნობით კოსმოსური

ულოცავენ!

ძვირფასო ჯუმბერ!

მიიღეთ ჩემი ყველაზე გულითადი მილოცვა იუბილესთან დაკავშირებით. დიდად გაფასებთ, როგორც გამოჩენილ მეცნიერს, მეცნიერების ორგანიზატორსა და სახელმწიფო მოღვაწეს, რომელმაც თავისი მაღალი პროფესიონალიზმით საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურეთ. თქვენი სიბრძნე და პრინციპულობა სამაგალითოა ახალგაზრდა მეცნიერთათვის. მე და თქვენ მრავალი წლის განმავლობაში გვაკავშირებს თბილი, მეგობრული ურთიერთობები, რასაც გულწრფელად ვაფასებ. თქვენ და თქვენს ახლობლებს გისურვებთ ჯანმრთელობას, სულიერ სიმშვიდესა და შემოქმედებით დღეგრძელობას.

თქვენი სერგეი კაპიცა

# და შემოქმედებითი კლიმატის შემქმნელი



ლია და ჯუმბერი. ჩელიაბინსკ-70, 1957.

პლაზმის საერთაშორისო სკოლის „ვარენა-აბასთუმანის" დაარსება. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ასტროფიზიკური პლაზმის და მომიჯნავე დარგების ცნობილი მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ახალგაზრდა ქართველ მეცნიერებს მათი მოსმენის, მათთან დისკუსიების და სამეცნიერო კავშირების დამყარების საშუალება ჰქონდათ. დაუვიწყარია „ვარენა-აბასთუმნის" საერთაშორისო სკოლის ეგიდით 1986 წელს სოხუმში და 1990 წელს თელავში ჩატარებული კონფერენციები. მათში მონაწილეობას იღებდა პლაზმური ასტროფიზიკის და საერთოდ თეორიული ფიზიკის უამრავი კორიფე. ლექციებს, მოხსენებებს და დისკუსიებს უდავოდ ეტაპობრივი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ასტროფიზიკის სკოლის ჩამოყალიბებისათვის. „ვარენა-აბასთუმნის" საერთაშორისო სკოლა იმდენად პოპულარული და პრესტიჟული გახდა, რომ მისი ჩატარებისათვის საჭირო ხარჯების გაღებისა და ორგანიზაციაში მიღების სურვილი გამოთქვეს იაპონიისა და გერმანიის წამყვანმა მეცნიერულმა ცენტრებმა. შემდგომი შეკრებები ნაგოიასა (იაპონია„ და პოტსდამში (გერმანია„ ჩატარდა.

ჯუმბერ ლომინაძის მეცნიერული საქმიანობა არ შემოიფარგლება პლაზმური ასტროფიზიკის სკოლის შექმნით საქართველოში. მის თანადგომას და ზრუნვას ასევე გრძნობენ საქართველოს სხვა სამეცნიერო დაწესებულებების გამორჩეული ახალგაზრდა მეცნიერები. იგი 40 წელზე მეტი კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასევე ხელმძღვანელობდა პლაზმის ფიზიკოსთა ჯგუფს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც მისმა ორმა მოწაფემ მოამზადა სადოქტორო დისერტაცია. ახალგაზრდებზე ზრუნვა ვრცელდება საქართველოს საზღვრებს გარეთაც. ჯუმბერ ლომინაძეს ყოველწლიურად იწვევდნენ ექსპერტად რუსეთის ფედერალურ ბირთვულ ცენტრში „ჩელიაბინსკ-70"-ში კონფერენციებზე „მეცნიერება მშვიდობისათვის", სადაც იგი მომავალი ფიზიკოსებისათვის კითხულობდა ლექციებს



ბირთვული შეიარაღების ცენტრის მუზეუმში პირველ ატომურ ბომბთან, ჯუმბერ ლომინაძე, მედიკო გონგლიაშვილი, ნანი ბრეგვაძე. არზამას-16. 2005.

ტურბულენტობის თეორიაში, კოსმოლოგიაში და ასტროფიზიკაში.

ჯუმბერ ლომინაძე აქტიური საზოგადო მოღვაწეა. იგი, როგორც აკადემიკოს-მდივანი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებას. წლების განმავლობაში, პოსტსაბჭოთა საქართველოში შექმნილ რთულ პირობებში, მან იტვირთა ისეთი მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობა, როგორიც იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა. ახალი საუკუნის დასაწყისში მან შექმნა საქართველოს კოსმოსური სააგენტო. კოსმოსური ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების განვითარება ცივილიზებული ქვეყნის აუცილებელი ატრიბუტია. ამ ტიპის საქმიანობის უნარისა და კულტურის არსებობა ქვეყანაში ოცდამეერთე საუკუნეში მისი ადეკვატურობის განმსაზღვრელია. მიუხედავად სირთულეებისა, ჯუმბერ ლომინაძე, მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმითა და თანმიმდევრულობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ამკვიდრებს ამ ახალი ტიპის საქმიანობას ჩვენში. ამ საქმიანობაში მას ეხმარება მისი საერთაშორისო ავტორიტეტი და ურთიერთობები. ხშირ შემთხვევაში ამ საქმიანობაში უცხოელთა აქტიურობის წინაპირობას და გარანტს თვით ჯუმბერ ლომინაძის პიროვნება წარმოადგენს. ჯუმბერ ლომინაძეს საზოგადოებრივ საქმიანობაში მეგზურობას ასევე უწევს მისი კეთილმოსურნეობა და ინტელიგენტურობა, მომავლის თანდაყოლილი რწმენა. იშვიათი უნარი ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი შეინარჩუნოს ადამიანებისადმი საოცრად ფაქიზი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. „ნუ მიაგებ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც გინებას გინების წილ, არამედ აკურთხევდეთ წინააღმდგომს..." ამბობს აღქმა. ჯუმბერ ლომინაძეს ჭეშმარიტად შეუძლია სიკეთე მიაგოს ავისმოსურნესაც – ასეთია მისი შინაგანი ბუნება, მისი პიროვნების არსი. ადამიანებს სჯერათ ბატონი ჯუმბერის სიკეთისა და იმდენად დარწმუნებულები არიან მის გულითადობაში, რომ ხშირად კეთილი საქმეებისათვის ზედმეტი მადლიერების გრძნობის გამოხატვას საჭიროდაც არ მიიჩნევენ. ეს, თავის მხრივ, უადვილებს ადამიანებთან ურთიერთობას.

ჯუმბერ ლომინაძე არის ფართო გატაცებების მქონე ადამიანი. კარგად იცნობს ლიტერატურას, მუსიკას, მხატვრობას, ფოტოხელოვნებას. აქვს უმდიდრესი ბიბლიოთეკა, გატაცებულია მხატვრული ფოტოგრაფიით. ეს გატაცება მისი ცხოვრების, მისი სიყვარულის მემატიანედაც იქცა. ამ გატაცებით მან განაცვიფრა ქართული საზოგადოება, როდესაც 2000 წლის ივნისში ცისფერ გალერეაში მოაწყო მისი მეუღლის, ქალბატონი ლიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჯუმბერ ლომინაძის მიერ ორმოცდაათი წლის განმავლობაში გადაღებული ფოტოები, ამსახველი მისი ცხოვრების გზისა და მშვენიერი გრძნობისა, რაც ქალბატონ ლიასთან აკავშირებდა. გამოფენამ თვალწინ გადაგვიშალა ლამაზი, სიყვარულით ამაღლებული და დამშვენებული ცხოვრება. ეს იყო ოდა სიყვარულისა, რომლის წინაშე ქედი მოიხარა ყველამ, ვინც კი გაეცნო მას.

**გიორგი ჩაგელიშვილი,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

---

ულოცავენ!

## ძვირფასო ჯუმბერ გიორგის ძევ!

სრულიად რუსეთის ასტრონომიული კონფერენციის მონაწილენი მხურვალედ და გულითადად მოგილოცავთ თქვენ — გამოჩენილ ფიზიკოს-თეორეტიკოსს — სახელოვან იუბილეს. ჩვენ გიცნობთ როგორც მსოფლიო სახელის მქონე შესანიშნავ მეცნიერს, მეცნიერების ნიჭიერ ორგანიზატორსა და ბრწყინვალე პედაგოგს, რომელმაც შექმნა საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო სკოლა პლაზმის ფიზიკაში.

ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასია თქვენი თვალსაჩინო მიღწევები აკრეციული დისკების ასტროფიზიკისა და პულსარების ფიზიკის დარგში. თქვენმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა ამ მიმართულებებით შესაძლებელი გახადა ნათელი მოჰფენოდა კომპაქტური ობიექტების ირგვლივ აკრეციული დისკების მდგრადობის პრობლემებსა და პულსარების რადიოგამოსხივების მექანიზმებს.

გისურვებთ, ძვირფასო ჯუმბერ გიორგის ძევ, ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით მიღწევებს ფიზიკასა და ასტროფიზიკაში.

კონფერენციის 420 მონაწილის სახელით,
რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრები:

**ი.ბალეგა, ნ.კარდაშოვი, მ.მაროვი, ვ.რუბაკოვი, ა.სტაროზინსკი, ა.ჩერეპაშუკი, ე.ჩურაზოვი, ბ.შუსტოვი, ა.ფინკელშტეინი**

ნიჟნი არხიზი, 14 სექტემბერი, 2010 წელი

---

ულოცავენ!

## ძვირფასო ჯუმბერ გიორგის ძევ!

ჩვენ, თქვენი მეგობრები და კოლეგები კურჩატოვის სამეცნიერო ცენტრიდან, გულითადად მოგილოცავთ დაბადების 80 წლისთავს! თქვენი ბიოგრაფია შეიძლებოდა ფილმის სცენარი ან რომანის საფუძველი გამხდარიყო.

თქვენ ბრწყინვალე განათლება მიიღეთ მ.ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შემთხვევითი არაა, რომ ამ უნივერსიტეტის ფიზიკისა და ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტების ფეერიული, 1955 წლის გამოშვების თქვენს თანაკურსელებს შორის 4 აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტია! მაგრამ სწორედ თქვენ, ა.ბ. მიგდალის დიპლომანტი, ი.ზელდოვიჩმა და ა.სახაროივმა შეგარჩიეს სხვა 11 ახალგაზრდა ფიზიკოსს შორის გასაიდუმლოებულ ობიექტზე სამუშაოდ, სადაც დაიწყო დიდ მეცნიერებაში თქვენი ცხოვრება.

ვფიქრობთ, რომ სწორედ თქვენმა დაუოკებელმა სამხრეთულმა ტემპერამენტმა გაიძულათ თქვენი მეცნიერული საქმიანობა დაგეკავშირებინათ სამ ცეცხლოვან სტიქიასან — ატომურ აფეთქებასთან, თერმობირთვთან და კოსმოსურ პლაზმასთან, — რომლებშიც თქვენ სავსებით კომფორტულად გრძნობთ თავს. თქვენი სამეცნიერო დამსახურება ფართოდ არის ცნობილი. ორასამდე სამეცნიერო შრომისა და ბესტსელერად ქცეული წიგნის „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში" ავტორი. თქვენ სამართლიანად გთვლიან პლაზმური ასტროფიზიკის ქართული სკოლის დამფუძნებლად.

ძვირფასო ჯუმბერ გიორგის ძევ! ბუნებრივი კომუნიკაბელურობისა და გახსნილობის წყალობით მოიპოვეთ ფართო აღიარება და მეგობართა უზარმაზარი რაოდენობა მთელს მსოფლიოში. მთელი ცხოვრების მანძილზე თქვენ ახლო და თბილი ურთიერთობები გაკავშირებდათ კურჩატოველებთან. ლეონტოვიჩის სექტორში ხშირი ვიზიტების დროს, 70-იან წლებში, თქვენ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეთ თერმობირთვული გამოკვლევების დარგში საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის ორგანიზაციაში. ეს მშვენივრად არის გადმოცემული ვ.შაფრანოვის უკვდავი ლექსის ცნობილ სტრიქონებში:

„Мы долго будем вспоминать, как Ломинадзе с Beasley
Гранит of science грызли..."

თქვენ 20 სექტემბერს დაიბადეთ. ამ დღესვე არიან დაბადებული ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორც ჯეიმს დიუარი და ნიკოლოზ ტიმოფეევ-რესოვსკი, ხოლო იმ ფაქტმა, რომ ამ დღეს სოფი ლორენიცაა დაბადებული, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო თქვენს უდაო კინემატოგრაფიულ წარმატებას რეზო ჩხეიძის ფილმში „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი", რომელიც მრავალმა კინოკრიტიკოსმა აღიარა.

სიხარულით გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და შემდგომ წარმატებებს!

**ე.აზიზოვი, ე.ველიხოვი, ბ.ვერშკოვი, ი.დნესტროვსკი, ვ.ილგისონისი, დ.კისლოვი, ცვ.კონოვალოვი, ა.კუკუშკინი ვ.ლისიცა, ა.მიხაილოვსკი, ვ.მუხოვატოვი, ვ.პასტუხოვი, კ.რაზუმოვა, ა.სტეფანოვსკი, ვ.სტრელკოვი, ა.ტრუბნიკოვი, ვ.შაფრანოვი, რ.შურიგინი** და სხვები

კურჩატოვის სამეცნიერო ცენტრი.

---

ულოცავენ!

## ღრმად პატივცემულო ჯუმბერ გიორგის ძევ!

მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვები იუბილესთან დაკავშირებით. თქვენ უთუოდ მიეკუთვნებით იმ გამოჩენილ მეცნიერთა რიცხვს, რომელთა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა გააფართოვა მეცნიერული ცოდნის ჰორიზონტები და დიდწილად განსაზღვრა თანამედროვე პლაზმის ფიზიკის განვითარება. ამ დღეს უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ახლანდელ ცხოვრებაში იშვიათად შეხვდები ადამიანს, რომელთანაც ურთიერთობის დრო არასოდეს არ არის ბევრი. და ეს ხდება იმიტომ, რომ ეს ადამიანი არის გონიერი და ინტელიგენტური, თანმიმდევრული და პრინციპული, პატიოსანი და წესიერი. ბედს ვუმადლი იმისათვის, რომ თქვენთან ურთიერთობის სიხარული მაჩუქა, და მე დიდად გაფასებთ როგორც კეთილ და გულისხმიერ ადამიანს.

თქვენ ყველაფერი გამოგდით: მკვლევართა შესანიშნავი კოლექტივის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა მეცნიერების აღზრდა, ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა.

თქვენი სამეცნიერო სკოლა — ბრწყინვალე მეცნიერთა რამდენიმე თაობაა, ნორჩი სტუდენტებიდან დაწყებული პროფესორებამდე, რომლებსაც თქვენ გულუხვად გადასცემდით და ახლაც გადასცემთ ცოდნას, გამოცდილებას და ნიჭს, თქვენს შეხედულებებს გარემომცველი სამყაროს შესახებ.

თქვენი ცხოვრების მანძილზე იმდენი მნიშვნელოვანი, შესამჩნევი და სასარგებლო რამ გააკეთეთ თქვენი სამშობლოსთვის, რომ ამ დღეს უთუოდ დაიმსახურეთ პატივისცემის, აღფრთოვანებისა და მადლიერების ყველაზე აღმატებული სიტყვები.

გისურვებთ, ძვირფასო ჯუმბერ გიორგის ძევ, ჯანმრთელობას, მჩქეფარე შემოქმედებით ენერგიას კიდევ დიდი ხნის მანძილზე, ოჯახურ სითბოსა და სიმყუდროვეს, სადღესასწაულო განწყობილებას, ოპტიმიზმს და ყველა დასახული გეგმის შესრულებას.

უსაზღვრო პატივისცემით, გულწრფელად თქვენი

**ვლადიმერ ფორტოვი,**
აკადემიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, მექანიკის და პროცესების მართვის აკადემიკოს მდივანი. მაღალი ტემპერატურის გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორი.

---

ულოცავენ!

## ძვირფასო ჯუმბერ!

თქვენ ბრძანდებით პლაზმური ასტროფიზიკის ახალი მიმართულების დამაარსებელი, რომელმაც რევოლუციურად შეცვალა ჩვენი მიდგომა სამყაროს ფიზიკის შესწავლისადმი, ასევე დაგვანახა ახალი პერსპექტივები მზეზე, ვარსკვლავებში და გალაქტიკებში პლაზმური პროცესების გააზრების თვალსაზრისით.

ეს ნათლად გამოჩნდა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის სიმპოზიუმზე — „პლაზმური ასტროფიზიკის მიღწევები", — რომელიც ახლახან ჩატარდა იტალიაში (კატანია, სიცილია 5-11 სექტემბერი 2010 წ). სიმპოზიუმი იყო ზეიმი თქვენი იდეებისა და თქვენი ძალისხმევისა ასტრონომიისა და პლაზმური ფიზიკის გასაერთიანებლად და კვლევის ამ ველში საერთაშორისო კოოპერაციის ჩამოსაყალიბებლად.

გილოცავთ მეცნიერებაში თქვენი თვალსაჩინო მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეს, გისურვებთ ახალ მიღწევებსა და წარმატებებს — პლაზმური ასტროფიზიკის შთაგონების გაგრძელებას.

საუკეთესო სურვილებით

**ალექსანდრე კოსოვიჩევი,**
პროფესორი, სტენფორდის უნივერსიტეტი, საერთაშორისო ასტორნომიული კავშირის „მზის რადიაციისა და სტრუქტურის კომისიის პრეზიდენტი".

პირველი ნაბიჯი



ოთარ ფალიანი

# და ჩემი სული სწავლობდა ფრენას!..

*ქვემოთ გამოქვეყნებული ლექსების ავტორი 18 წლის ჭაბუკია. წლეულს ჩვენი სასულიერო აკადემიის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.*

*დედა ნახე, მამა ნახეო, სწორედ ამ ჭაბუკზეა ზედგამოჭრილი. ოთარის მამა მირიან ფალიანი ცნობილი პოეტი, მხატვარი და სასულიერო მოღვაწეა, დედა ლალი აბშილავა ასევე გამორჩეული კალმის პოეტი და ნოველისტი. ასე რომ, ჩვენი დებიუტანტი ოთარ ფალიანი ის ურა კვიცია, რომელიც გვარზე ხტის, ხოლო თუ როგორი მხედრულ-პოეტურად წერს, ეს თვითონ ოთარის ლექსებიდან ჩანს.*

*ბოლოს, ისღა დაგვრჩენია გულითადად დავულოცოთ ცხოვრების დიდი გზასავალი ამ უთუოდ პოეტური ნიჭით მადლცხებულ სვანეთის ამაყი მთების შვილს.*

## ჟამი ცხოვრებისა

მე უკვე სხვა ვარ, სხვაგვარად ვფიქრობ,
სულის გარდაქმნას აღარ მოველი,
მთელი ცხოვრება სინათლეს ვხატავ
და ბოლოს მაინც ძილი მომელის...

სწორედ ამიტომ, უნდა ვეცადო,
რომ შევაჩეროთ წამი დროებით
და მოვაბრუნოთ დრო და მანძილი
აინშტაინის გიჟი გონებით...

და გავიხადოთ ძილის პერანგი,
რომელიც ყველა ჩვენგანს აცვია.
მაგრამ არ ვიცით, ვინ რამდენს გასტანს
ვინ კეთილი და ძუნწი კაცია.

## არაფერი იცვლება

ახლა ღამეა, ირგვლივ სიჩუმეს
ჩამოაფარა მთვარემ ფარდები,
ჩემი სიზმარიც დიდხანს გრძელდება,
ვინ იცის, იქნებ ციდან ვვარდები.

და მეჩვენება დაუსრულებლად,
გრძელდება ისევ ეს საგიჟეთი,
ფოთლებგაძარცვულ ხეივანიდან
მიმზერს სიგნელე და ყიამეთი.
ერთი უქმე დღეც ცაში გავრეკე
თითქოს დაირღვა ეს იდილია,
მთელი წლებია ვცდილობ, გავერკვე
ჩემი სხეული ვისი ჩრდილია,
ვფიქრობ, უბრალო სანთლის და სულის
ნაერთია თუ — ზეცის სხივია.

## ჩემი ბავშვობა

მიუყვებოდა ჩემი ბავშვობა
როგორც კალაპოტს მშვიდად მდინარე
და ამოხტომას წყლიდან ლამობდა
კალმახი ჭრელა, სახემცინარე.

მე ვერ გიამბობთ, როგორ გაგრძელდა
ჩემი თამამი, ლაღი ბავშვობა,
ვინც კი სიცოცხლე ღმერთს მიაბარა
ის სამუდამოდ მიწას გაშორდა.

ახლაც არ ვიცი რისთვის მოვედი,
რატომ ვადულებ სტრიქონს სტრიქონზე,
ან მზე რად არის ჩრდილის სასჯელი
ცოდვით დაცემულ დედამიწაზე.

## ქუჩაში

ქუჩა ხმაურობს, ისმის ზუზუნი,
ვიღაც ნაღვლიან თვალებს აცეცებს,
წუთისოფლისგან მოშიებული
ნაგავთან ეძებს პურის ნამცეცებს.

რა უბრალოა ადამიანი,
რა ცოტა ყოფნის მიწად რომ იქცეს,
ზოგი ქუჩაში ათენებს ღამეს,
ბევრი ცხოვრებას თავიდან იწყებს.

დილა თენდება და დღე ილვიძებს,
მტკვარი დამხრჩვალა ნისლის მორევში,
და სანაგვესთან გდია მოხუცი
გაურკვეველი სულის ბორგვებში...

## ადამიანი

ცუდია, როცა ადამიანი
კარგავს სიცოცხლის და უფლის რწმენას,
როდესაც სულში ცეცხლი ანთია
და უცებ ვიღაც მიგზავნის მწევარს,
ცხოვრების შარას მივყვები ნელა
ბევრჯერ სიცოცხლის ჩაქრა ხალისი,
და ჩემი სული სწავლობდა ფრენას,
რომ მისულიყო ღმერთთან თავისით.

## თოვლი

გარეთ თოვლია სიცოცხლით სავსე
და მიხარია, რომ მოდის თოვლი,
გამახსენდება განვლილი წლები,
სახლში ბუხარი და ბუხრის ბოლი.

ქუჩაში ციგით ვიღაცა დაქრის,
ერთ დროს მეც ისე დავქროდი ლაღად,
და ჩემში იწვევს მალულად დუმილს,
რომელიც მთელი ცხოვრება მახლავს.

ალბათ, ასეა ადამიანი,
პატარაა და დიდობას ნატრობს,
სახეშეცვლილი, თვალნამიანი,
მთელი ცხოვრება დადის და დარდობს.

გადავიღალე ამდენი ფარსით,
დღეები გაცვდნენ როგორც სამოსი,
და მობეზრებულ ცხოვრებას ვნაღვლობ,
ვშლი ფოლიანტებს საიმჟამოსი.

## მამას

თვრამეტი წელი ჩრდილი დამყურებს
და მეფერება ხან კი, ხან არა,
დიდი ხანია ვცდილობ გავერკვე
კვლავაც დავრჩები მამის ამარა...

მინდა რომ ჩემი ჩრდილიც გადიდდეს
ცაში ასვეტდეს როგორც გუმბათი,
და დაინახონ ჩემით ახალი
სულ სხვანაირი კაცის სურათი.

ტარება ტვირთის მაინც ძნელია,
თითქოს ჩვენ ყველას გვიადვილდება
წარსულის ჩრდილი არაფერია,
ახალი ჩრდილის ველი დიდდება.

---

ინფორმაცია

### ახმედ ზაკაევი არ ელოდა, მაინც დააკავეს!

**პოლონეთის პროკურატურამ დევნილობაში მყოფი ჩეჩნეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე ახმედ ზაკაევი დააპატიმრა. ზაკაევის დაკავება მაშინ მოხდა, როდესაც იგი პროკურატურაში მიდიოდა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.**



**შეგახსენებთ, რომ პოლონეთში ჩეჩენი ხალხის მსოფლიო კონგრესი მიმდინარეობს. კონგრესში 200 მდე ჩეჩენი ეროვნების ადამიანი მონაწილეობს. სტუმართა შორის ასევე არიან ევროპარლამენტისა და გაეროს წარმომადგენლები. აღნიშნული კონგრესის მოწვევისა და გამართვის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო კრემლის გაღიზიანება გამოიწვია. სავარაუდოდ, კრემლი პოლონეთის მთავრობისაგან მის მიერ „ტერორიზმში„ ბრალდებული ახმედ ზაკაევის დაპატიმრებას მოითხოვს.**

### აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეების ქონებრივი უფლებების შემსწავლელი კომისია შეიქმნა

**სეპარატისტულ აფხაზეთში შეიქმნა კომისია, რომელიც აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეების ქონებრივი უფლებების კანონიერების საკითხებს შეისწავლის. კომისია ორმხრივია — აფხაზურ-რუსული.**

**აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა აფხაზეთის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების კანონიერი ქონებრივი უფლებების გადაწყვეტის კომისიის შესახებ ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა.**

ჯი-ეიჩ-ენი

---

ინფორმაცია



### მსოფლიოს მოედო!

**რუსეთის ფედერაცია მსოფლიოში ტანკების გაყიდვის რეიტინგში პირველ ადგილზე გავიდა. ეს განცხადება მსოფლიოში იარაღით ვაჭრობის ცენტრის დირექტორმა იგორ კოროტჩენკომ გააკეთა.**

**ცენტრის მონაცემებით, რუსეთმა 2006-2009 წლებში უცხოელ დამკვეთებს 1,75 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების 482 ახალი ტანკი მიყიდა.**

**„ამ დროისათვის რუსული ჯავშანტექნიკის ყველაზე მსხვილი შემსყიდველი ინდოეთია“, — აცხადებს კოროტჩენკო.**

**მსოფლიოში იარაღით ვაჭრობის ცენტრის პროგნოზით, 2010-2013 წწ რუსული ტანკების გაყიდვის მოცულობამ, უკვე გაფორმებული კონტრაქტებისა და შემოსული წინადადებების გათვალისწინებით შესაძლოა 895 ახალი ტანკი შეადგინოს, რომლის ღირებულებაც 2, 75 მილიარდი აშშ დოლარი იქნება.**

**მსოფლიოში იარაღით ვაჭრობის ცენტრის მონაცემებით, ამ სფეროში დღეისათვის, რუსეთის ძირითადი კონკურენტები მსოფლიო ბაზარზე არიან აშშ და გერმანია.**

ჯი-ეიჩ-ენი

---

სკანდალი დიდ თეატრში

# პრიმადონების ომი

**წლეულს ზამთარში გარდაიცვალა სახელოვანი რუსი საოპერო მომღერალი ირინა არხიპოვა. თავის მეუღლესთან, ცნობილ ტენორთან ვლადისლავ პიავკოსთან ერთად მას 40-წლიანი ბედნიერი ქორწინება ჰქონდა, თუმცა მანამდე მომავალი ქმარისთვის მას უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუხდა დიდი თეატრის პრიმადონასთან, მსტისლავ როსტროპოვიჩის ცოლთან, სახელგანთქმულ საოპერო მომღერალ გალინა ვიშნევსკაიასთან.**

აი, როგორ ყვება ამ ამბავს თავად ირინა არხიპოვა.

1966 წელს ამერიკიდან საგასტროლო ტურნედან დაბრუნებულს, დიდ თეატრში დიდი ვნებათაღელვა, უამრავი ჭორი და მითქმა-მოთქმა დამხვდა: გამოჩნდა ახალგაზრდა სოლისტი ვლადისლავ პიავკო, რომელსაც გალინა ვიშნევსკაიამ, რატომღაც (?!), „ჩიო-ჩიო სანის“ პრემიერა მისცა...

ვიცოდი, რომ ჯერ კიდევ ჩემს გამგზავრებამდე გალინა ვიშნევსკაია კარგ პარტნიორს ეძებდა, მათ შორის ვლადიკას შესახებაც მეკითხებოდა... მერე მე წავედი, ხოლო რომ ჩამოვედი, გალინა უკვე მთელ ამხედრებულ თეატრს ეომებოდა, ეს კი კარგად ეხერხებოდა...

ვიცოდი, რომ იმ დღეებში, როცა დიდ თეატრში „ჩიო-ჩიო სანი“ გადიოდა, მეგობარი ვლადისლავს რიგიდან უამრავ მიხაკს უგზავნიდა, ის კი მათ გალინას ჩუქნიდა, რომელსაც ეთაყვანებოდა... მერე კი იგი უცბად ჩემზე „გადმოერთო“, თანაც ძალზე აქტიურად. ამ დროს, რომ იტყვიან, „ცეცხლზე ნავთი“ ზურაბ ანჯაფარიძემ დაასხა, რომელმაც იმ დროს ვლადიკას უთხრა: „ამ ქალზე დროს ტყუილად კარგავ, არაფერი გამოგივა“. თუმცა ეს ამბავი სერიოზულად არ აღმიქვია: ჯერ ერთი, გათხოვილი ვიყავი, მეორეც ვლადისლავი ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა.

მისი შემდეგი როლი „კარმენში“ ხოზე უნდა ყოფილიყო და სწორედ მაშინ აგორდა სკანდალი, რომელსაც დღემდე იხსენებენ. საქმე ის არის, რომ „კარმენზე“ მუშაობა მე და ვლადისლავს უკვე დაწყებული გვქონდა, როცა კარმენის პარტიის შესრულება გალინა ვიშნევსკაიამაც გადაწყვიტა, რომელსაც პარტნიორად ასევე ვლადისლავი უნდოდა. გადაწყდა, რომ იქნებოდა „კარმენის“ ორი რედაქცია — ერთში მე ვიმღერებდი, მეორეში — ვიშნევსკაია.

პირველი სპექტაკლი მე და ვლადისლავს კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე უნდა გვემღერა, სპეციალურ კომისიას უნდა გადაეწყვიტა, შეეძლო თუ არა მას წარმოდგენაში მონაწილეობა მიეღო. კომისიას, როგორც ოპერის საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე, ვიშნევსკაია ხელმძღვანელობდა. ჰოდა, მაშინ ატყდა, რაც ატყდა: გალინამ მოითხოვა, რომ ვლადისლავისთვის ამჟამად სიმღერის უფლება არ მიეცათ. აი, ახალი დადგმა რომ იქნება (ესე იგი მისი მონაწილეობით!), შემადგენლობაში მისი შეყვანა მაშინ გახდებოდა შესაძლებელი. მე კი მიმაჩნდა, რომ მას სიმღერა ახლავე უნდა დაეწყო, რათა უფრო თავისუფლად წარმდგარიყო მეტად მომთხოვნი როსტროპოვიჩის წინაშე. გალინას კი არაფრის გაგონება არ სურდა! ჩემი აზრით, აქ მთავარი მამოძრავებელი ქალური ეჭვიანობა იყო. მე, ცხადია, აღვშფოთდი, ყველაფერი კი თეატრის მეექვსე სართულზე მოხდა: ლიფტთან რომ მივედი, გალინაც იქ დამხვდა.

— გალინა, ასე რატომ იქცევი? — ვკითხე. მანამდე ვმეგობრობდით და, ბუნებრივია, ერთმანეთს „შენობით“ მივმართავდით.

უცბად გალინამ შემომიტია:

— როგორ ბედავთ ჩემთან ასეთი ტონით ლაპარაკს?

ამით ცეცხლზე ნავთი დაასხა, მეც ალი მომედო და საკმაოდაც „მოუკითხე“ ყველანი. მერე კულტურის მინისტრის მოადგილემ კუხარსკიმ მითხრა:

— კარგი რა, შენ ხომ დედა შეაგინე!

დედას არასდროს ვიგინებ, უბრალოდ იმან, რაც მას ვუთხარი, ინტონაციურად ძალიან დამაჯერებლად ჟღერდა. ისე კი, ბევრი არაფერი მიკადრებია მისთვის მერე პარტიულ შეკრებაზე დამიბარეს, ვინაიდან გალინამ პარტკომში მიჩივლა. ბოდიშის მოხდას მთხოვდნენ, მე კი ვუთხარი:

— მიმართვის ფორმისთვის ბოდიშის მოხდა შემიძლია, შინაარსისთვის კი — არა. იგი არასწორად იქცევა.

პარტკომის ამ თათბირით დასრულდა დიდი თეატრის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სკანდალი: მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ ორმა პრიმადონამ პიავკოს გულისთვის იჩხუბა.



მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

## ჩვენი ბიბლიოთეკა

– ყველაფერი მოიცილე, რაც შენთვის არ არის შეკერილი, – ჯიუტად ეუბნებოდა უიკა. – დანარჩენი მშვიდობაში მოიხმარე. აუცილებელია, მიწა უნდა გაფხვიერდეს, ტალღა უნდა აქაფქაფდეს, ემოცია უქმად არ უნდა დაიკარგოს, მთელი ცამყარი მოძრაობს, ვერც ჩვენ გავიყინებით ერთ ადგილას.

ბრიდა შინ რომ დაბრუნდა, რაც რამ კარადაში ტანსაცმელი ჰქონდა, სულ ერთიანად საწოლზე გადმოყარა. მერე ყურადღებით დაათვალიერა მთელი თავისი გარდერობი და აღმოაჩინა, რომ ბევრი რამე აღარც კი ახსოვდა, ჰქონდა თუ არა ჰქონდა, ხოლო ზოგი ქვედატანი და ბლუზა, წარსულის ბედნიერ წუთებს რომ ახსენებდნენ, უკვე უიმედოდ იყო მოდიდან გამოსული. ბრიდა ამ ძველ ჩასაცმელთ ცრურწმენის გამო ინახავდა, როგორც ფეტიშს ანდა თილისმას რასმე: რომ გადავყაროო, ფიქრობდა, იმ კარგსაც თან გავაყოლებ, რაც ცხოვრებაში მაშინ ვნახე, როცა ეს კაბაკუბა მეცვაო.

ამ თავის ადრე ნაცვამ ტანსაცმელს ბრიდა ისე დასცქეროდა, როგორაც „ავი ენერგიის“ მქონე რასმე. ის მუდამ იმედოვნებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს ენერგია ამოიწურებოდა, ჩაცხრებოდა ტანსაცმლის მიერ წარმოქნილი რხევაც და თრთოლაც, – რასაც ცხადად გრძნობდა! – და, მაშასადამე, კვლავ შეიძლებდა ძველებურად ჩაცმას. მაგრამ ყოველთვის, როცა კი „გამოცდის“ ჩატარებას დაეპირებოდა, უეჭველად რაღაც უსიამოვნებას გადაეყრებოდა ხოლმე.

ადრეც არაერთხელ შეემჩნია ბრიდას, რომ ბევრ რაღაცრუღაცასთან, ნივთი იყო თუ საგანი რამე, არც ისე მარტივი დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც ჩანდა. და მაინც ვერ დაეჯერებინა, უფრო სწორად, ვერც კი წარმოედგინა, თუ უიკა ესდენ უაღრესად პირადულ, ინტიმურ, ანუ ჩაცმა-დახურვის ამბავშიც წაუყოფდა ცხვირს. იყო ზოგი რამ ისეთი, რასაც განსაკუთრებული შემთხვევისთვის ინახავდა და როდის რა უნდა ჩაეცვა, მარტო მან, ბრიდამ, იცოდა და არა კიდევ ვინმე სხვამ. ზოგი რამ არც სამუშაოზე ჩასაცმელად არ ვარგოდა და არც კვირის ბოლოს ქალაქგარეთ გასასეირნებლად. რა უიკას საქმეა, რატომ ერევა ამ ამბავში? კი, ბატონო, მოძღვარი მოძღვარია, და ბრიდას აკი არცროდის სიტყვა არ შეუბრუნებია. თუ რამ დაუვალდებულებია, ყველაფერს მორჩილად ასრულებდა: ცეკვავდა, სანთელთ ანთებდა, წყალში სატევრის წვერს არჭობდა და ზოგ რამესაც ისეთს სწავლობდა, რაც არცროდის ცხოვრებაში არ გამოადგებოდა. არ ვიზამო, როგორ ეტყოდა, როცა ეს ყოველივე იმ ტრადიციის ნაწილი იყო, რომელიც, მართალია, არ ესმოდა, მაგრამ იქნებ სულაც ჩემი ყოფიერების რომელსამე იდუმალ მხარეს შეეხებაო, ფიქრობდა ყმაწვილქალი. თუმცა ამჯერად დასტურ მეტისმეტი მოუვიდა უიკას, რა უნდა ჩაიცვას ბრიდამ და რა – არა, ეს უკვე მოწაფის ცხოვრების წესზე ავად ხელის აღმართვაა.

ეგება შეეშალა მოძღვარს და თავისი ძლიერების საზღვარს უნებლიედ გადავიდა. ანდა ეგება იქ შეჭრას ცდილობს, სადაც შეჭრის უფლება არა აქვს?

*„რაც გარედან არის, იმის შეცვლა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე იმისი, რაც შიგნით არის“.*

ვისი ხმა იყო? საიდან მოისმა? ბრიდამ შეშინებულმა მიმოიხედა, თუმცა სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ვერცვის ირგვლივ ვერ დაინახავდა.

ბოლოსა და ბოლოს გაისმა ხმა. სწორედ ის ხმა, რომლის გაღვიძებაც აგრერიგად ეწადა უიკას.

ბრიდა შიშსაც მოერია და აღელვებასაც, გაიტრუნა, იქნებ კიდევ გავიგო რამეო, მიაყურადა კიდეც, მაგრამ ფანჯრიდან მარტო ავტომობილების გნიასი, სადღაც შორს ჩართული ტელევიზორის ხმაური და სოფელ-ქვეყნისეული ხმიანობა ისმოდა. იგი ისევ ისე დაჯდომას და ისევ იმაზე ფიქრს შეეცადა, როგორც მაშინ იჯდა და რაზეც იმწუთას ფიქრობდა, როცა ხმა გაისმა. ყოველივე ისე ელვისებურად მოხდა, რომ მან ნამდვილად შეშინებაც კი ვერ მოასწრო, ვერ მოასწრო აგრეთვე ვერც გაკვირვება და ვერც სიამაყის მოზღვავების შეგრძნება.

მე შენ გეტყვი, მოეჩვენა ის ხმა. იმ ხმამ მართლაც რაღაც წარმოთქვა. რაც დედამიწის ზურგზე ხალხია, კიდევაც რომ სუყველა ფეხზე წამომდგარიყო და იმისთვის ერთპირ ემტკიცებინა, ეგ ყველაფერი მხოლოდ წარმოსახვის თამაში იყოო, კიდევაც რომ ისევ დაწყებულიყო კუდიანებზე ნადირობა და ბრიდა ინკვიზიციის სამსჯავროს წინაშე წაეყენებინათ და ამის გულისთვის კოცონზეც აეყვანათ, ის მაინც თავისაზე იდგებოდა, მაინც ღრმად იქნებოდა დარწმუნებული, რომ ვიღაცის ხმა მოესმა და არა თავისი საკუთარი.

„რაც გარედან არის, იმის შეცვლა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე იმისი, რაც შიგნით არის“. ეგება ამ ხმას სხვა უფრო მეტად მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი რამეც წარმოუთქვამს, მაგრამ რა ბრიდას ბრალია, თუ ამჟამინდელ თავის განსახიერება-შეგვამებისას პირველად გაიგონა ეს ხმა. და ანაზდად სიცოცხლის ნიშანი გაეღვიძა ყმაწვილქალს, გუნება გამოუკეთდა, ფრთები შეესხა. ერთი სული ჰქონდა, რომ ლორენსისთვის დაერეკა, მოგვთან გაფრენილიყო, უიკასთვის წვლილად ჩაეწიგნა, თუ ბოლოსა და ბოლოს როგორ გამოაჩნდა თავისი მადლი, ანუ ზეგარდმო ბოძებული ნიჭი და აწ უკვე მთვარის ტრადიციის თანაზიარი რომ იყო. ბრიდა ადგილს ვერ პოულობდა ოთახში, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, და მხოლოდ ნახევარ საათში შეიძლო დამშვიდება, ისევ საწოლზე ჩამოჯდომა, სადაც კვლავინდებურად ეყარა კარადიდან გადმოტანილი ტანსაცმელი.

ხმამ მართალი თქვა. ბრიდამ თავისი სული უცხო ქალს მიანდო და, რა უაზროდაც არ უნდა ჩანდეს, – სული ბევრად უფრო ადვილად გაიმეტა, ვიდრე თავისი ჩაცმა-დახურვის წესი.

და მან ახლაღა იაზრიკვალა, რომ ვარჯიშებმა და რიტუალებმა, სუყველა აგერ ახლახან ეგზომ უაზრობად რომ ეჩვენებოდა, სულ ერთიანად გადაუხალისეს ცხოვრება. მხოლოდ ახლაღა, უკვე გარეგნულად შეცვლილი გაერკვა, რარიგ შეცვლილი იყო შინაგანადაც.

ბრიდასთან ახალი შეხვედრისას უიკამ ხმის თაობაზე ყველაფრის შეტყობა მოინდომა. ბრიდას „ჩრდილთა წიგნში“ სუყოველი წვრილმანი ზედმიწევნით ჩაეწერა, და მოძღვარი კმაყოფილი დარჩა.




– ვისი ხმა გავიგონე? – დაეკითხა ბრიდა.

მაგრამ იმას ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა, ვიდრე თავისი შეგირდის მარადიულ კითხვებზე პასუხის გაცემა იყო.

– აქამდე შენთვის იმის ჩვენებას მოვუნდი, როგორ უნდა დაბრუნებოდი იმ გზას, რომელიც შენმა სულმა, რამდენჯერმე გარდასახულმა, სხვადასხვა დროს გამოიარა. ეს შემეცნება თუ შეცნობის უნარი მაშინ გაგიღვიძე, იმას – შენს სულს – ჩვენი წინაპრების სიმბოლურ და რიტუალურ ენაზე რომ ვესაუბრებოდი. შენ ჩიოდი და მეწინააღმდეგებოდი, თუმცა შენი სული კმაყოფილი იყო, რამეთუ კვლავ აღასრულებდა თავის განგებულებას, თავის მიზანდანიშნულებას, სანამდის შენ სავარჯიშოებზე ჯავრი მოგდიოდა, ცეკვა-როკვით თავს ისავათებდი და რიტუალთა შესრულებისას გული გიწვრილდებოდა, შენი არსების უცხადო, მალული ნაწილი კვლავ დაეწაფა დრო-ჟამის სიბრძნის თავწყაროს და გაიხსენა, თუ რამ ოდესმე უწყოდა. თესლი შენდა შეუმჩნევლად გაღივდა. აწ დადგა ჟამი, რომ სხვა რამ, ახალი რამ შეიცნო. ამ ახალს ხელდასხმა ჰქვია, და დიახაც ეს ხელდასხმა გახდება ჭეშმარიტი სათავე ყოველივე იმისი, რისი სწავლაც ცხოვრებაში მოგიწევს. ხმამ, რომელიც მოგესმა, გაუწყა, რომ მზად ხარ ამისთვის.

უიკა განაგრძობდა:

– კუდიანთა ტრადიციის ხელდასხმა წელიწადში მუდამ ორჯერ ხდება. ბუნიობის დღეებში, როცა დღისა და ღამის ხანგრძლივობა სავსებით ერთნაირია. მალე, 21 მარტს, გაზაფხულის ბუნიობა იქნება, ძალიან მინდა, რომ შენი ხელდასხმა მაშინ მოხდეს, იმიტომ, რომ მეც გაზაფხულის ბუნიაობის დღეს დავიწყე. შენ უკვე ისწავლე ჩვენი იარაღის გამოყენება, იცი ის რიტუალებიც, რომელთა ცოდნაც იმისთვის არის საჭირო, რომ ხილულიდან უხილავისკენ გადებულ ხიდზე გამავალი გზა მუდამ ხსნილი გქონდეს. შენი სული კვლავინდებურად იხსენებს იმ გაკვეთილთ, წინა არაერთ ცხოვრებაში რომ მიუღია, – ეს ყოველთვის აგრე ხდება, როგორც კი შენთვის უკვე ცნობილი რიტუალის არსსა და რაობას სწვდები და ასაცნაურებ.

ხმა რომ მოგესმა, რაც რამ უკვე უხილავ სამყაროში იყო მომხდარი, ყოველივე ხილულ სამყაროში გადმოიტანე. სხვაგვარად თუ ვიტყვით, მიხვდი, რომ შენი სული მზად არის შემდგომი ნაბიჯის გადასადგმელად. და პირველი დიდი მიზანიც მიღწეულია.

ბრიდას წამოაგონდა, რომ ადრე თვითონაც უნდოდა მანათობელი წერტილის დანახვა. მაგრამ იმის მერე, რაც მან სიყვარულის ძებნა-ძიებაზე დაიწყო ფიქრი, უწინდელი ოცნებანი დღითი დღე კარგავდნენ თავიანთ ადრინდელ მნიშვნელობას.

– დაგვრჩა ოდენ ერთი, ბოლო განსაცდელის გავლა – და შესაძლებელი იქნება შენი ხელდასხმის დაწყება. თუ ახლა არ მოხდა, გული არ გაიტეხო: წინ კიდევ ბევრი გაზაფხულის ბუნიაობაა, და ერთ-ერთ ასეთ დღეს მოხდება შენი ხელდასხმა. აქამდე ბევრად უფრო ცხოველმოქმედი იყო შენი მამრული საწყისი-შემეცნება. შენ იცი, რომ დაჯილდოებული ხარ შეცნობა-გაგების უნარით, მაგრამ აქამდე ჯერეთ კიდევ ხელშეუხებელი გქონდა გარდასახვა-სახეცვალების დიდი მდედრული ძალა. შემეცნება კი უგარდასახვოდ და უსახელცვალებოდ სიბრძნე არ არის.

ეს ძალა მუდამ დაწყევლილი ძლიერება იყო ყველასი, ვინც ჯადოქრობს თუ ჯადეგობს და გულთმისნობს, მეტადრე კი – მდედრთა. ვინც დედამიწის ზურგზე დადის, ყველამ უწყის ეს უძლეველი ძალა. ყველამ უწყის, რომ ეს ჩვენა ვართ, დედანი, ამ ძალის საიდუმლოთა მთავარი ებგურ-მცველნი. ამ ძალის გულისთვის ჩვენ ფრიად საშიშ, მტრულ სამყაროში არიარეზე სახეტიალოდ ვიყავით განწირულნი, რამეთუ ამქვეყნად ისეთი ადგილებიც არის, სადაც ეს ჩვენგან გაღვიძებული ძალა შიშს, ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა. ვინც კი – თუნდაც შეუცნობლად და შეუგრძნობლად – შეეხება ამ ძალას, ის უკვე მთელი სიცოცხლე თავს ვეღარ დააღწევს და ამ ძალის ტყვეობაში იქნება. ის იქნებ ბატონიც გაუხდეს ამ ძალას ანდა მონა, იქნებ რაღაც ზებუნებრივ, ჯადოსნურ უნარადაც გადაიქციოს, ანდა იქნებ მთელი თავისი დღე და მოსწრება სულაც ისე გამოიყენოს, ვერ შეიგნოს, თუ რა უჩვეულო ძლიერების პატრონია. ეგ ძალა ყოველივეშია, რაც რამ ირგვლივ გვაკრავს, და როგორაც ძეხორციელთა ხილულ სამყაროში, ის უხილავ მისტიკურ სამყაროშია. ამ ძალის ფეხქვეშ გაგდებაც შეიძლება და ტანჯვა-წამებაც, დამდაბლებაც და მიყურისძირებაც, იქნებ ხელიც აიღო და ამტკიცო, სულაც არ არსებობსო. ეს ისეთი რამ სიძლიერის ნაწილია, ათეულობით წელიწადი თვლემა შეუძლია სადმე მივარდნილ კუთხე-კუნჭულში, ძეხორციელთა მოდგმას უფლება აქვს, როგორც უნდა, ისე მოექცეს, – შეუძლებელია ოდენ ერთი რამ: იმ წამიდან, რაწამსაც შეიცნობ, გათავებული საქმეა, დავივიწყებო, სამარის კარამდე, არც იფიქრო.

– ეგეთი რა ძალაა?

– ერთიმეორეზე სულელურ შეკითხვებს თავს არ დაანებებ? – ცოტა არ იყოს, გაბრაზდა უიკა. – ძალიან კარგად ვიცი, რომ იცი, რა ძალაც არის.

ბრიდამ მართლაც იცოდა, რომ ეს ძალა სექსია.

უიკამ ფიფქინა კრეტსაბმელი გადასწია: ფანჯრის მიღმა თვალთახედვის არეში მდინარე და ცისა და მთის შესაყართან აღმართული ძველი შენობები მოექცნენ. სადღაც იქ ერთ-ერთი ღადირი, ანუ გორათა წარზიდული ქედი, აერჩია მოგვს თავის ადგილსამყოფლად.

– ის რა არის? – იკითხა ბრიდამ, ტაძრის გუმბათისკენ თითგაშვერილმა.

– ჯვარია, – მიუგო უიკამ. – ქრისტიანობის სიმბოლო... რომაელი არცროდის იმ სახლში არ შევიდოდა, რომელსაც ნიშნად ჯვარი ჰქონდა: მანდ უეჭველად ჯურღმული რამ ან დილეგიაო, ფიქრობდა, რადგან ფასადზე გამოსახული იყო წამების ერთ-ერთი ყოვლის უფრო საშინელი იარაღი, როგორიც კი ადამიანს ოდესმე გამოუგონია.

ჯვარი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო, ოღონდ მნიშვნელობა შეიცვალა. ზუსტად აგრევე მოუვიდა სექსსაც: როდესაც ადამიანები ღმერთის ახლოისად იდგნენ, სექსი იყო ღვთაებრივ არსთან შერწყმის სიმბოლო, ყოფიერების აზრთან ახალი შეხვედრა...

– რატომ არის, რომ ღვთის მაძიებელ ადამიანთ, როგორც წესი, სექსისგან თავი შორს უჭირავთ?

უიკამ, აშკარად გულმოსულმა, სიტყვას რად მაწყვეტინებო, მაინც წყნარად მიუგო:

– ხსენებულ ძალაზე რომ გელაპარაკები, მარტო სქესობრივ აქტს არ ვგულისხმობ. არიან ადამიანები, რომლებიც ისე იყენებენ ამ ძალას, არ სარგებლობენ ამ ძალით. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა გზას ავირჩევთ.

გადმოაენა
**გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172.

ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები



ევროპის ლიგა. ჯგუფური რაუნდი. I ტური

**„ა“ ჯგუფი.** „ზალცბურგი“ – „სიტი“ 0:2, „იუვენტუსი“ – „ლეხი“ 3:3.

**„ბ“ ჯგუფი.** „ლევერკუზენი“ – „რუსენბორგი“ 4:0, „არისი“ – „ატლეტიკო“ 1:0.

**„გ“ ჯგუფი.** „ლილი“ – „სპორტინგი“ 1:2, „ლევსკი“ – „გენტი“ 3:2.

**„დ“ ჯგუფი.** „დინამო“ (ზაგრებიძ – „ვილიარეალი“ 2:0, „ბრიუგე“ – პაოკი 1:1.





**„ე“ ჯგუფი.** „დინამო“ (კიევიძ – ბატე 2:2, „ალკმაარი“ – „შერიფი“ 2:1.

**„ვ“ ჯგუფი.** „სპარტა“ – „პალერმო“ 3:2, „ლოზანა“ – ცსკა (მოსკოვიძ 0:3.

**„ზ“ ჯგუფი.** „ანდერლეხტი“ – „ზენიტი“ 1:3, აეკი – „ჰაიდუკი“ 3:1.

**„თ“ ჯგუფი.** „შტუტგარტი“ – „იანგ ბოიზი“ 3:0, „ხეტაფე“ – „ოდენსე“ 2:1.

**„ი“ ჯგუფი.** „დებრეცენი“ – „მეტალისტი“ 0:5, „ეინდჰოვენი“ – „სამპდორია“ 1:1.

**„კ“ ჯგუფი.** „კარპატი“– „ბორუსია“ 3:4, „სევილია“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 0:1.

**„ლ“ ჯგუფი.** „ლივერპული“ – „სტიაუა“ 4:1, „ნაპოლი“ – „უტრეხტი“ 0:0.

**„მ“ ჯგუფი.** „პორტუ“ – „რაპიდი“ 3:0, „ბეშიქთაში“ – ცსკა (სოფიაძ 1:0.

ჩოგბურთი

# მხოლოდ წყვილებს შემორჩა

**კანადის ქალაქ კვებეკში მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირ „ბელ ჩელენჯზე“ (საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარიძ ქალებს ცდის 20 წლის ანა ტატიშვილი.** მერვედფინალში ჩვენებური ასპარეზობის ერთ-ერთ ფავორიტს, 18 წლის ამერიკელ მელანი ოუდინს შეხვდა. ოკეანისგაღმელმა იოლად დაამარცხა (6:3, 6:0ძ ტატიშვილი, რომელიც მხოლოდ წყვილთა პაექრობას შემორჩა. ამერიკელ ლილია ოსტერლოსთან ერთად ანამ პირველ წრეში ჰლავაჩკოვა – კრაიჩეკის დუეტს მოუგო, ხოლო მეორეში კრეიბას – გერგესს.



ჭადრაკი

# ფინალში ვერ გააღწია

**მოსკოვში დღეს დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ბლიცში. ნახევარფინალში ერთადერთი ქართველი დიდოსტატი სოფიო გვეტაძე მონაწილეობდა. შვიდი ტურის შემდეგ იგი 9,5 ქულით ევროპის ჩემპიონ ელმირა სკრიპჩენკოსთან ერთად მესამე – მეოთხე ადგილებს იყოფდა, მაგრამ ბოლო ექვს ტურში 5 ქულის მეტი ვერ მოაგროვა და ფინალს მიღმა აღმოჩნდა.**



გუშინ ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო. მედლებისთვის წრიული სისტემით (შეწყვილებული პარტიებითძ 16 მოჭადრაკე იბრძვის. ესენი არიან: მსოფლიოს ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი, დები – ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევები, ვალენტინა გუნინა, ვერა ნებოლსინა (ყველა – რუსეთიძ, ნაზი პაიკიძე (საქართველოძ, ელმირა სკრიპჩენკო, მარი სებაგი (ორივე – საფრანგეთიძ, ინა გაპონენკო, კატერინა ლახნო, მარია მუზიჩუკი, ნატალია ჟუკოვა (ოთხივე – უკრაინაძ, ჰამფი კონერუ (ინდოეთიძ, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთიძ, ირინა კრუში (აშშძ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი თანამემამულე ფინალურ რაუნდში ავტომატურად დაუშვეს უწინდელი შედეგების გათვალისწინებით.

**ლექსო ცინცაძე**

სუმო

# დიდ ჩემპიონს ვერ გაუმკლავდა

**შემოდგომის ბაშოზე 22 წლის ლევან გორგაძეს ოთხი დღის შემდეგ სამი მოგება და ერთი წაგება ჰქონდა. მე-5 ტურში იგი დიდ ჩემპიონს, 25 წლის ჰაკუჰოს დაუპირისპირდა, რომელსაც ზედიზედ 51 პაექრობაში არ განეცადა მარცხი.** ქართველმა სპორტსმენმა ეს



ორთაბრძოლა დათმო. სამაგიეროდ, წარმატებას მიაღწიეს ლევან ცაგურიამ და თეიმურაზ ჯუღელმა. „შავმა ზღვამ“ მე-9 მაეგაშირა კიმურაიამას გადაუარა – რკალიდან გასვლისას მეტოქე ზურგზე დაეცა. გაგამარუმაც ბეჭებზე გააკრა ტოჩინონადი. ახლა ორივე ქართველს საკმაოდ კარგი ბალანსი აქვს – 4:1. დაუმარცხებლად პაექრობას კვლავაც სამი სუმოისტი განაგრძობს – ჰაკუჰო, ოძეკი კოტოოშუ და მე-11 მაეგაშირა იოშიკაძე.

64 უჯრა

# „ორმაგი შამათი“ ლაზიერის და კუს მონაწილეობით

შაპოშნიკოვი – სმოლენსკი 1968



1..... ხc4! (ალტერნ... )
თუ ლ:c4 – ხ:c3 X
თუ ლe3 – მg4
თუ ლe4 – ხc3+

რეჟანი – მიხელი 1905



1. ... ე:b4
2. cb – ლc1+
3. ლd1 – ხ:b4+
4. მd2 – ხ:d2 X

**ლაზიერმა დაკარგა „e“ ვერტიკალი და დაცვის გარეშე დატოვა მეფე.**

**ნამუსიანად ჩაჭედილმა „შავმა ლურსმნებმა“ მეფე გამოუვალ ტყვეობაში ჩააგდეს.**

მოამზადა
**თამაზ შენგელია**

ინტერნეტიდან

## პორტუგალიელებს მოურინიო დასჭირდათ

**სწორედ რომ ასეა – პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ (FPFძ სთხოვა მადრიდის „რეალის“ მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს, თავადაც პორტუგალიელი რომ არის, ორ მატჩზე ოქტომბერში უხელმძღვანელოს პორტუგალიის ნაკრებს.**



FPF-ს პრეზიდენტი ჟილბერტუ მადაილი იყო ესპანეთში, სადაც შეხვდა მოურინიოს აგენტს და გადასცა სათხოვარი, რომ პორტუგალიელმა სპეციალისტმა უხელმძღვანელოს თავის სამშობლოს ნაკრების 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს – 8 ოქტომბერს დანიის ნაკრებთან და ოთხი დღით გვიან ისლანდიის ნაკრებთან.

თავად მოურინიოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ წინააღმდეგი არ იქნებოდა, ერთხელ მაინც ჩასდგომოდა სათავეში მშობლიურ ნაკრებს.

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარგლუშ კეიროში პოსტიდან გადააყენეს სექტემბერში, რადგან მისმა გუნდმა არასასურველად დაიწყო შესარჩევი ტურნირი – პირველ ტურში მან ფრედ – 4:4 ითამაშა შინ კვიპროსთან, ხოლო შემდეგ სტუმრად დამარცხდა ნორვეგიასთან 0:1.

## ოლიმპიადისთვის ყველაფერი მზადაა!

**უკვე ვწერდით, რომ 20 სექტემბერს ხანტი-მანსიისკში იწყება 39-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. როგორც მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ამ ავტონომიური ოლქის გუბერნატორმა ნატალია კომაროვამ და ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა განაცხადეს, ოკრუგი მზადაა ოლიმპიადის მონაწილეთა მისაღებად.**

ფიდეს პრეზიდენტმა კი დააზუსტა, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს გუნდების სარეკორდო რაოდენობა – 160 კაცთა და 120 ქალთა, ამავე დროს აღინიშნა ისიც, რომ პირველად კაცთა და ქალთა დაფების რაოდენობა ერთნაირი იქნება, ხოლო ტურნირის მთავარ მსაჯად, ასევე პირველად, დაინიშნა ქალი – სერბი სავა სტოისავლევიჩი.

## სპორტი მკერდს უზრდის

**ფიგურულად მოციგურავე, მომღერალი და კინომსახიობი ანა სემიონოვიჩი აღიარებს, რომ ვერ მიმხვდარა შეშლილი ფანატების ასეთ მზარდ ყურადღებას. თუ მას დავუჯერებთ, არც ერთ მამაკაცს ყურადღება არ მიუქცევია მისი გადასარევი მკერდისთვის.**

„რუსეთსა და უკრაინაში კაცობრიობის მძლავრი ნახევრის წარმომადგენლები ცივილიზებულნი არიან. იშვიათად დავდივარ დისკოთეკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, მაგრამ მამაკაცები როდი მომვარდებიან ხოლმე და არც მაღლა-მაღლა ხტუნაობენ. იქ ყველაფერი კულტურულად ხდება“, – უთქვამს ლამაზმანს.

როგორც პრესა, კერძოდ, „სეგოდნია“, იუწყება, ანას არ მიაჩნია, რომ დიდი მკერდი აქვს, ამტკიცებს, რომ



ასეთი ნებისმიერ ქალს შეიძლება, ჰქონდეს, თუკი მოინდომებს და საკუთარ თავს სწორად მიხედავს. თანაც თუ კი სპორტულ ვარჯიშებსაც შეასრულებს. თავად თუ როგორ ვარჯიშობს, არაფერი უთქვამს, მაგრამ ცხადია, რომ ზაფხულში 10 კილოგრამი დაიკლო და მისი მკერდი ამით არ დაზარალებულა.

პირველი შთაბეჭდილება

# ადამიანის ბედი კოლეგის ახალ წიგნში

**რას ვიზამთ: ჭეშმარიტად „ერთი გაფრენით მეტია“ ჩვენზე ჩვენი მეგობარი და კოლეგა ალეკო (ალვენძ ასლანიშვილი. ისტორიკოს კაცს (მოგვიანებით რომ ჟურნალისტიკას გაჰყვაძ, შეუძლია, როგორც თევზს წყალში, ისე შეაღწიოს ჩვენი წარსულის ანალებში, წარმოაჩინოს ბევრი, თითქოს მივიწყებული, არადა, მომავლისთვის ფრიად საყურადღებო საკითხი, ნათელი მოჰფინოს მრავალ ტაბუდადებულ თემას და მკითხველის ყურადღება დაიმსახუროს.**




ჰოდა, გამოაქვეყნა კიდეც პრესაში არაერთი საგულისხმო მასალა, გამოსცა ცალკე წიგნებად (ამ ცოტა ხნის წინათ, მაგალითად – **„მეგრელთა საქმე“**ძ და ამით, მართლაც ფასდაუდებელი საქმე გააკეთა. ისტორიული წყაროების ქექვას კი, რა გასაკვირია, არქივებში დღე-ღამის გასწორება სჭირდებოდა, ყველაფერი უნდა ყოფილიყო ზუსტი, უდავო და დაწერილი სადად, მიმზიდველად...

რაღაი წარსულის (შავ-ბნელი წარსულისძ კვლევა ალეკო ასლანიშვილისთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, თითქმის, მთავარი საქმე გახდა, 1990 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა გაზეთებში დასტამბული ისტორიული მასალები ერთ წიგნში მოაქცია და ამით ინტერესი ერთიორად გაუღვივა მკითხველს.

სათაურიც ინტერესის აღმძვრელი აქვს ამ წიგნს – **„დაკარგული საფლავები“** (გამომცემლობა „ეთნოპოლიტიკა“, რედაქტორი **ზინა მჭედლური,** დიზაინი **ილია თილილაურისა**ძ, ჟანრიც – „ჟურნალისტური რომანი“ დამაინტრიგებელია და თქვენ მონაწილე ხდებით იმ, ზოგ შემთხვევაში, დაუჯერებელი ამბებისა, რაც მეფის რუსეთში თუ საბჭოთა კავშირში მრავალი ადამიანის თავს ტრიალებდა. წიგნის პირველ ნაწილში მოთხრობილია XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიის ცნობილი მედროვისა და ავანტიურისტის გრიგორი რასპუტინის ქართველ მეგობრებსა და „მოწაფეებზე“, მათს წვლილზე რომანოვების ტახტის დამხობაში, მეორე ნაწილში კი – საბჭოური ეპოქის დიდ რეპრესიებზე.

როგორც ზემოთ ვთქვი, ეს მასალები სკრუპულოზურ კვლევა-ძიებას მოითხოვდა და ავტორიც კეთილსინდისიერად ეყრდნობა ყოფილი საქართველოს უშიშროების სამინისტროს არქივსა და სამეცნიერო თუ მემუარულ ლიტერატურას, რომელთა უმრავლესობა აბსოლუტურად უცნობია ჩვენი საზოგადოებისთვის.

მე, მაგალითად, კიდევ ერთხელ სიამოვნებით წავიკითხე ნარკვევი გრიგორი რასპუტინის ქართველ „ძმაკაცებზე“, სევდა მომგვარა გალაკტიონის სიყმაწვილის მეგობრის ტუტკუ გვარამიას, აგერ, ჩვენს დღეებში, ჩვენს გვერდით მყოფი (რა ვიცოდით, თურმე, საპყრობილეგამოვლილი, გაუტეხელი კაცის, ნიჭიერი ხელოვნებათმცოდნისძ გივი ბარამიძის და სხვათა და სხვათა ბედ-იღბალმა, რაც ოსტატურად აქვს მოთხრობილი ალეკო ასლანიშვილს.

მადლობა მას ამისთვის!

**ვილენ მარდალეიშვილი**

წარდგენა

# ბაგრატიონის ღირსება




**„გენერალი ბაგრატიონი, ცხოვრება და ომი“, – ასე ჰქვია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის ევგენი ანისიმოვის წიგნს, რომლის წარდგენაც სასტუმრო „ამბასადორში“ გაიმართა. წიგნი რუსულიდან ითარგმნა და გამოიცა საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის ალექსანდრე ებრალიძის მხარდაჭერით და დაფინანსებით.**

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორის ნანა ჭყოიძის განცხადებით, წიგნის ჯერ მხოლოდ 100 ეგზემპლარი გამოიცა და უფასოდ რიგდება, გადაეცემათ ბიბლიოთეკებს და სურვილის შემთხვევაში, უმაღლეს სასწავლებლებს.

„ამ წიგნის ღირსებაა ფაქტების ობიექტური ასახვა. ბატონმა ალექსანდრე ებრალიძემ სთხოვა ავტორს, ღირსეული წიგნის შექმნა ქართველ მხედართმთავარზე. მან ხელი შეუწყო ანისიმოვს საფრანგეთში ემგზავრა და ფრანგულ წყაროებში მოეძია ცნობები“. ნანა ჭყოიძის თქმით, წიგნში რეალურად არის ასახული რუსეთ-თურქეთის ომი მე-19 საუკუნეში და ასევე, გადმოცემულია, თუ რა ბოროტება ჩაუდენია რუსეთს საქართველოს მიმართ.



წიგნის რუსულიდან ქართულად მთარგმნელმა მზია გელაშვილმა აღნიშნა, რომ ნაშრომი გმირისადმი დიდი სიყვარულითაა დაწერილი, თუმცა მას დითირამბებს კი არ უმღერის, ობიექტურად, კეთილსინდისიერად წარმოაჩენს ღირსებასა და ნაკლსაც.

„წიგნი განკუთვნილია არა მხოლოდ ისტორიკოსებისთვის, არამედ ფართო მკითხველისთვის. ეს ყველამ უნდა წაიკითხოს, რადგან ეპოქას, ქართულ-რუსულ, რუსეთ-კავკასიის ურთიერთობებს საინტერესოდ გადმოსცემს და მრავალი ინფორმაციის შემცველია“.

პროფესორმა თეიმურაზ ქორიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია ისტორიის ფილოსოფიურად გააზრება, ჩვენ ვერ მოვახერხეთ თუნდაც ერთი წიგნის შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ პიროვნებაზე, როგორიც პეტრე ბაგრატიონია. ეს წიგნი უმაღლესი რანგის ისტორიკოსმა დაწერა, რომელიც ისტორიული ჭეშმარიტების დასადგენად მნიშვნელოვან ცნობებს გადმოგვცემსო.

„ბაგრატიონის“ გამოცემას კობა არაბულმა და ანზორ თოთაძემ ქველმოქმედება და ერის საქმე უწოდეს.

ევგენი ანისიმოვი წერს, პეტრე ბაგრატიონი „ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე იმ დროის ნიჭიერი და გამორჩეული მხედართმთავრები... ვერავინ შეძლო გადაეფარა ბაგრატიონის, როგორც მხედართმთავრის დიდება. ის ფაქტი, რომ პეტერბურგში, ყაზანის ტაძართან, კუტუზოვისა და ბარკლაი დე ტოლის ქანდაკებების გვერდით თავადი ბაგრატიონის ქანდაკებაც არ დგას, დიდი ისტორიული უსამართლობაა“.

ქალბატონმა ნანა ჭყოიძემ, ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის აღდგენაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ალექსანდრე ებრალიძე პეტერბურგში, პეტრე ბაგრატიონის ძეგლის დადგმასაც დააფინანსებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

დედაქალაქი

# „თბილისი არტ ჰოლი“ სისხლსავსე ცხოვრების გზაზე შედგა

**დედაქალაქის ნამდვილი მშვენებაა თანამედროვე ტიპის კულტურული ცენტრი „თბილისი არტ ჰოლი“, რომელიც ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის (პრეზიდენტი ბადრი წილოსანიძ დიდი ძალისხმევით განახლდა.**

„თბილისი არტ ჰოლი“ უკვე მოექცა ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში და სისხლსავსე შემოქმედებით ცხოვრებას შეუდგა.

გუშინ 17 სექტემბერს ბალეტის სახელოვანმა მოცეკვავემ ნინო ანანიაშვილმა „თბილისი არტ ჰოლში“ საბალეტო სეზონი გახსნა და მოწვეულ სტუმრებს შესანიშნავი კონცერტი აჩუქა.

„თბილისი არტ ჰოლის“ წარმომადგენელმა ნინო წილოსანმა კონცერტის დაწყების წინ თქვა: „ჩვენთვის დიდი პატივია ვუმასპინძლოთ საბალეტო სეზონის გახსნას და ვიყოთ ისეთი დიდოსტატის გვერდით, როგორიც ქალბატონი ნინო ანანიაშვილია“.

ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის ძალისხმევით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა თბილისის ამ უძველეს შენობას და შეიქმნა ახალი, თანამედროვე ფართოპროფილიანი კულტურის ცენტრი „თბილისი არტ ჰოლი“, რომელიც თავისი, თანამედროვე ტიპის დარბაზებითა და სტუდიებით 3000 ბავშვს მოემსახურება და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ახალი თაობის ჯანსაღად აღზრდის საქმეში.

„თბილისი არტ ჰოლი“ მზად არის, უმასპინძლოს ყველა პროექტს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის კულტურულ განვითარებას. ჩვენ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს, რათა ღირსეულად წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურა და მისი მომავალი.




სრულიად ახალი ტიპის კულტურის ცენტრის „თბილისი არტ ჰოლის“ მიზანია ფართო პოპულარიზაცია გაუწიოს ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგებს, საკუთარი წვლილი შეიტანოს ახალგაზრდების ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

კულტურის ცენტრის კომპლექსში განთავსებულია 500-ადგილიანი თეატრის, კინოს, ქორწინების, სამხატვრო გამოფენის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სხვა დანიშნულების დარბაზები, რომლებიც აღჭურვილია ყველა სათანადო, საჭირო ინფრასტრუქტურით.

„თბილისი არტ ჰოლში“ ფუნქციონირებს მუსიკის, ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების, საესტრადო სიმღერების, ქართულ ხალხურ საკრავთა, მხატვრული კითხვის, მეტყველების კულტურის, თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების საბალეტო და ხმის ჩამწერი სტუდიები.



გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა კულტურის ცენტრში მოქმედებს უცხო ენებისა და კომპიუტერის შემსწავლელი სტუდიები, ქართული ხალხური ცეკვების კოსტიუმების და აქსესუარების სახელოსნოები, ტურისტული სააგენტო და სხვ.

კულტურის ცენტრში გაიმართება შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, მოეწყობა საიუბილეო საღამოები, იგეგმება მოსწავლე-ახალგაზრდობის სარაიონთაშორისო დათვალიერება-ფესტივალების გამართვა, უცხოეთში გაცვლითი ფესტივალები.

კულტურის ცენტრი მომსახურებას გაუწევს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს სადღესასწაულო და სხვა დანიშნულების ღონისძიებების გასამართავად.

საგამოფენო დარბაზები მომსახურებას გაუწევს მხატვრებს ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაში, აგრეთვე მოდელიორებს მოდების ჩვენებაში.

„თბილისი არტ ჰოლში“ განთავსებულია 250-ადგილიანი რესტორანი, რომელიც მზად არის, მიიღოს წინასწარი შეკვეთები მეგობრული შეხვედრებისა და სხვა დანიშნულებების გასამართავად. აქვე ფუნქციონირებს მაღალი კლასის სასტუმრო და კაფე-ბარი.

კულტურის ცენტრი განთავსებულია კეთილმოწყობილ დასვენებისა და კულტურის პარკში, რომელიც 8 ათას კვ. მეტრს მოიცავს. აქ ყველა თაობის ადამიანს შეუძლია დაისვენოს და გაერთოს.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონში ეს უმნიშვნელოვანესი კულტურის კერა მრავალ ადამიანს იზიდავს...

**ლალი ქინქლაძე**

**რუსლან რუსია, ალეკო ასლანიშვილი, ზინა მჭედლური, ნანა ამირანაშვილი, მანანა დოლენჯაშვილი, მანანა შამელიშვილი, ნინო ხოფერია თანაუგრძნობენ რეზო მესხიძესა და მაია წერეთელს დისა და მულის**

**ნუნუ მესხიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**გიორგი არსენიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გურამ კაკალაშვილის მეუღლის**

**ქეთევან ბრეგვაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## განცხადება

**შპს „ჭიათურის ხორცკომბინატის“ სამეურვეო მასაში შესული ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გაიმართება 2010 წლის 6 ოქტომბერს 12 საათზე.**

**მისამართი: ქ. ჭიათურა, ჭიათურა-საჩხერის გზატკეცილი, № 41, საწყისი ფასი 45 000 ლარი.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 899-23-48-33.**

გაკოტრების მმართველი: პ. კიკალიშვილი

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**99-62-77; 899 32-85-76.**

## დაიჯესტი

### რაც შუბლზე გვაწერია

ძველი საბერძნეთის საოცრებათა უბრალო ჩამოთვლას არავითარი აზრი არა აქვს, რადგან მათ შესახებ ქვეყანამ უწყის, თუმცა მათ შორის არის ერთი, რომლის შესახებ ბევრმა შეიძლება არ იცოდეს: იღბლიანობას ელინები ადამიანის ხასიათის ისეთივე ნიშან-თვისებად მიიჩნევდნენ, როგორებიცაა გულღიობა თუ გულჩათხრობილობა, ლაღი ხასიათი თუ ავყიობა, ხელგაშლილობა თუ ხელმომჭირნეობა, სიმამაცე თუ სილაჩრე...



ახლახან კი გენეტიკოსებმა კიდევ ერთი გასაოცარი აღმოჩენა გააკეთეს: ბედნიერება, თურმე... შთამომავლობით გადადის! მეცნიერებმა შეძლეს ადამიანის ხასიათის თვისებების განმსაზღვრელი და ბედნიერებისადმი მიდრეკილებაზე პასუხისმგებელი გენების გამოყოფა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბედნიერება, თავისთავად, ერთობ განყენებული ცნებაა და საიმისოდ, რომ კაცმა თავი ბედნიერად იგრძნოს, გარკვეული პირობებია საჭირო. აღმოჩნდა, რომ თუკი თქვენ ურთიერთობა გაქვთ ბედნიერ ადამიანთან, თავად ბედნიერად ყოფნის თქვენი შანსები 15 პროცენტით მატულობს; თუ ბედნიერია თქვენი მეგობრის მეგობარი — გემატებათ კიდევ 10 პროცენტი, ხოლო თუ ბედნიერია თქვენი მეგობრის მეგობრის მეგობარი — დამატებით 6 პროცენტი; ხუთიდან ათ მეგობრამდე ყოლა ბედნიერად ყოფნის თქვენს შანსებს მთელი 50 პროცენტით ზრდის, მაშინ როცა 5 ათასი დამატებითი შემოსავალი მხოლოდ 2 პროცენტს შეგმატებთ. ასევე დაადგინეს, რომ თუკი 20 წლამდე ასაკის ქალს ისეთ უბედურებებს შორის, როგორებიცაა მშობლების გაყრა ანდა მათი, მეუღლის ან ახლობლების დაკარგვა მოხდა, მას სხვებთან შედარებით მკერდის ავთვისებიანი სიმსივნის გაჩენის 60 პროცენტით მეტი შანსი აქვს, ხოლო ბედნიერებაზე პასუხისმგებელი თავის ტვინის ზონა ადამიანის შუბლის არეშია განთავსებული.

ახლა მოდი და თქვი, რომ გამოთქმა შუბლზე აწერიაო, მცდარია!

### თუ იცით, რომ...

- მსოფლიოში ყველაზე ყინვაგამძლე ფრინველები ბატები და იხვები არიან, რომლებიც ცელსიუსის მინუს 110 გრადუსზეც კი არ იყინებიან;
- დედამიწაზე ყველაზე იშვიათი ენაა ბიაკი, რომელზეც ნიგერიისა და კამერუნის საზღვარზე მცხოვრები 89 წლის ერთადერთი ქალი ლაპარაკობს;
- ხმელთაშუა ზღვაში ბინადრობს თევზი ბრომიზაუსუსი, რომელსაც გრძელ წინა ფარფლებზე... ფეხები აქვს;
- პირველად ჩინელები წერენ გვარს, შემდეგ კი სახელს. მაგალითად, მაო ძე-დუნის, „დიდი მესაჭის" გვარია მაო.
- ერთი სამუშაო დღის განმავლობაში (9 საათში) ცხვრის პარსვის რეკორდი ხელის საპარსი მანქანით ჯონ ფაგანმა დაამყარა, რომელმაც 804 ბატკანი გაპარსა (საათში, საშუალოდ, 89,3ძ, ხოლო 1896 წელს დაბადებული იუტელი (აშშ) ფერმერი ლეივორ ტეილორი ირწმუნებოდა, რომ 1984 წლის მაისისთვის მას 515 ათასი ცხვარი ჰყავდა გაპარსული.
- ჩაის ტილოების ყველაზე დიდი კოლექცია ინგლისელმა ტონი ჯაჯინმა შეკრიბა, რომელმაც 5967 სხვადასხვა ეგზემპლარს მოუყარა თავი.
- ყველაზე გრძელი მაგიდა მსოფლიოში ესპანეთის ქალაქებს ლა ხუნტასა და ტერამარას შორის გაიშალა, რომელსაც 6 400 კაცი მიუჯდა. მისი სიგრძე 2410,6 მეტრი იყო.

### გვარის შვილი სხვამ არ უნდა აღზარდოს

იმ დროს, როცა მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და ქალაქში უამრავი უსახლკარო, უპატრონო, მათხოვარი და მიუსაფარი ბავშვია, ისეთი ცნება, როგორც „მიტოვებული ბავშვი" ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, ფაქტობრივად, არ არსებობს.



საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, ცხადია, არსებობდნენ ბავშვთა სახლები, თუმცა იქ არც ერთი ჩეჩენი თუ ინგუში ბავშვი არ იყო! თემური წყობა უმკაცრეს ვალდებულებას აკისრებს თემის წევრებს ობოლ ბავშვთა პატრონობის მხრივ. თუკი ბავშვი უდედმამოდ დარჩა, ღვიძლი ბიძა ვალდებულია იგი შეიფაროს. თუკი ასეთი არ არის, მაშინ მას პატრონობას მამის ბიძაშვილი გაუწევს. ადათის მოთხოვნა ასეთია: გვარის შვილი სხვამ არ უნდა აღზარდოს.

მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**

## დღის კალენდარი

18 სექტემბერი

ხსენება წინასწარმეტყველ ზაქარიასი და მართალი ელისაბედისა, — მშობელთა იოანე ნათლისმცემელისა (Iძ. მოწამე თიფაილისა და დისა მისისა თიბეასი (98-138ძ; მოწამე სარვილესი; მოწამე რაისასი (დაახლ. 308ძ; იუვენტინე და მაქსიმე მხედართა (361-363ძ; მოწამე ურვანოსი, თეოდორესი, მედიმნესი და მათთანა 77 მამათა, ნიკომიდიას წამებულთა (370ძ; მოწამე აზდიასი, სპარსელისა (Vძ.



ამოდის 05.44
ჩადის 18.06



ამოდის 15.35
ჩადის 00..46

### დაიბადნენ:

1891 — **ოტო შმიდტი,** რუსეთელი გეოფიზიკოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოგრაფი, მოგზაური. გარდაიცვალა 1956 წელს.

### გარდაიცვალნენ:

96 — **ტიტუს ფლავიუს დომიციანუსი,** რომის იმპერატორი.
1911 — **პიოტრ სტოლიპინი,** გამოჩენილი რუსი პოლიტიკური მოღვაწე, აგრარული რეფორმის ავტორი.

### მოვლენები:

1769 — ამერიკელმა ჯონ ჰარისმა დაამზადა პირველი ფორტეპიანო.
1810 — ჩილემ დამოუკიდებლობა მიიღო.
1850 — აშშ-ის კონგრესმა საემიგრაციო კანონი დაამტკიცა.
1919 — საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო არგენტინამ.
1961 — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დაგ ჰამარშელდი ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**აშშ** — კონსტიტუციის კვირეული.
**ნიდერლანდები** — დედოფლის გამოსვლის დღე.
**ჩილე** — დამოუკიდებლობის დღე.

მედიანიუსი

## ინფორმაცია

### „ლიბერთი ბანკი" კომუნალურ გადასახადებზე საკომისიოს აუქმებს

კომუნალური გადასახადების გადახდა, საკომისიოს გარეშე, თბილისის მასშტაბით „ლიბერთი ბანკის" 25 ფილიალში გახდება შესაძლებელი, — ამის შესახებ განცხადება გუშინ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ გააკეთა.

— ბანკებთან ორდღიანი მუშაობის შედეგად ჩამოვყალიბდით, რომ ოთხივე (დასუფთავება, ბუნებრივი აირი, წყალი, შუქი) კომუნალური გადასახადის გადახდა, საკომისიოს გარეშე, თბილისელებისათვის „ლიბერთი ბანკის„ 25 სერვისცენტრში გახდება შესაძლებელი, — განაცხადა ქადაგიძემ.

რაც შეეხება რეგიონებს, როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხათაგურმა განაცხადა, რეგიონებში კომუნალური გადასახადების გადახდა დღემდე ყოველგვარი საკომისიოს გარეშე წარმოებდა.

ჯი-ეიჩ-ენი

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8402 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8352 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0012 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0459 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2923 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3322 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2230 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7075 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 — +22 |
| ქუთაისი. | +18 — +25 |
| ბათუმი. | +16 — +21 |
| ზუგდიდი. | +16 — +28 |
| თელავი. | +14 — +24 |

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი





## ანეკდოტები

— მარო, მალე ძვირიან ბინაში ვიცხოვრებთ, როგორც შენ გინდოდა!

— ოჰ, შენ კი გენაცვალე, შენა! იმ ახალ სახლში იყიდე ბინა?

— არა, ისევ ძველ ბინაში ვიცხოვრებთ, მაგრამ მეტი ქირა გვექნება გადასახდელი...

* * *

— რაო, ისევ? სადაც სვამდი, იქ წაეთრიე, გაიგე?

— გასაგებია... ალო, ივანიჩ, ყველაფერი რიგზეა, დავეთხოვე...



* * *

ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ ითვლება გაქცევის მცდელობად.

ნაბიჯი წინ, ნაბიჯი უკან ითვლება ეკონომიკის დინამიურ განვითარებად.

* * *

— ივან, გიყვარვარ?

— ფული არა მაქვს!

— შენ რა სულ ფულს მიახტები ხოლმე, მე ხომ გრძნობებზე გელაპარაკები...

— მიყვარხარ, დაშენკა, ძალიან მიყვარხარ!

— ეჰ, აწი უკვე რა მნიშვნელობა აქვს...

* * *

უზარმაზარ მექანიკურ დათვს, რომელიც ხელის შეხებით ცოცხლდებოდა, მისი შემქმნელების ჩანაფიქრით, სავაჭრო ცენტრში ხალხი უნდა მიეზიდა. სინამდვილეში კი ტუალეტთან უზარმაზარი რიგები დააყენა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.